პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 (18244) კვირა 3 იანვარი 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში



სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვის გამომცემლობა „პლაკატმა" გამოუშვა პლაკატების სერია. ვბეჭდავთ მხატვარ გ. შესტოპალის ნამუშევარს.

დადგა 1982, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წელი

ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ყოველ ახალ წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა ქვეყნისა და მასთან ერთად მთელი პლანეტის ხალხთა ცხოვრებაში, რადგან დასახული პროგრამით, გეგმაზომიერად ვილვწით.

ამ მხრივ გასული, 1981 წელიც მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ პლანეტის საერთაშორისო ცხოვრებაში. პროგრესული ძალების, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის, მისი კომუნისტური პარტიისა და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუღალავი ბრძოლითა და ძებით, წელმა დედამიწის უმეტეს ნაწილზე მშვიდობიანად მოგვზაურა.

ამ ერთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა კვლავ დაუმტკიცა მსოფლიოს ხალხებს, რომ ოქტომბრით შობილი ქვეყანა სწორი კურსით მიიწევს წინ, რომ მისი მთავარი მიზანი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. აბა, კიდევ ერთხელაც გადავხედოთ გასულ წელს. იგი არ გვანებივრებდა ამინდით, გვაშფოთებდა საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებით, მაგრამ ამან მაინც ვერ შეგვაშინა. ჩვენი პარტიის მშვიდობის ფართო პროგრამა მაინც ისხამდა ხორცს და საიმედო ბურჯად ედგა მშვიდობის მოსურნე ძალებს.

დადგა 1982 წელი. მისი უწინარესი ნიშანსვეტი იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 60 წლის თავი და ამ დიდი, საიუბილეო თარიღის ღირსეული აღნიშვნა.

ეს უკვე მესამოცედ ხვდება ახალ წელს საბჭოთა კავშირი, რომელმაც ისტორიისათვის მცირე მონაკვეთში უზარმაზარი ძვრები მოახდინა. მრავალნი იყვნენ მტრებიცა და ნიჰილისტებიც, გვებრძოდნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ისედაც ფესვმაგრად დგას და ამ ახალ წელსაც მთელი კაცობრიობა იმედის თვალით ისევ საბჭოთა კავშირს შეჰყურებს.

ამ სამოცმა წელმა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს საბჭოთა ქვეყნის მრავალი ერი, რომლებიც ერთ მუშტად შეკრულან და ერთიანი პროგრამით ილვწიან. ეს ხალხები, ეჭვი არ არის, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მეთერთმეტე ხუთწლედის და, რა თქმა უნდა, ამ ხუთწლედის მეორე წლის დავალებასაც აუცილებლად შეასრულებენ, რითაც ახალ ნაბიჯს გადადგამენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მიმდინარე 1982 წელსაც ჩვენს ქვეყანას და პარტიას ორი მიზანი ექნება. როგორც საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვაშია ნათქვამი, ეს ორი მიზანი იქნება „კომუნისტური აღმშენებლობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება. ეს მიზნები განუყოფელია. პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრება, თანამიმდევრულად ახორციელებენ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, საკადრის პასუხს სცემენ რეაქციული ძალების ხრიკებს, ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავენ გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, განიარაღებისათვის. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ არა არის რა იმაზე უფრო კეთილშობილური და ჰუმანური ამოცანა, ვიდრე კაცობრიობას თავიდან ააცილოს თერმობირთვული კატასტროფის საფრთხე".

ამ ორი მიზნის მიღწევის საფუძველია სწორედ ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

დაე, ბედნიერი ყოფილიყოს ახალი, 1982 წელი — საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წელი, ახალ გამარჯვებათა წელი გამხდარიყოს იგი.

ყველა ფოტოები საკდესისაა.

ხიდი ვიტიმზე

ბურიატეთის ასსრ. ჩქარი ტემპით შენდება ხიდი მდინარე ვიტიმზე. მისი მეშვეობით შეუფერხებლად გადაიტანენ ტვირთს ბამისათვის. მშენებლობას აწარმოებს „მოსტსტროის" № 9 ტრესტის № 97 რაზმი.

ვ. მატვიევსკის ფოტო.

ამწყობები

აზერბაიჯანის სსრ. ბაქოს საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ქარხანაში პროფკავშირული ორგანიზაციის მამობილიზებელი როლი საწარმოს ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა. სულ უფრო სრულყოფილი ხდება სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და მეთოდები, ფართოვდება დამრიგებლობის მოძრაობა. ამის შედეგად 300 მუშა პროფესიაში საუკეთესოდ ცნეს. 3500-ზე მეტს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება.

სურათზე: საამწყობო საამქროს მუშები.

ო. ლიტვინის ფოტო.



მილიონი ტონა

პრიმორიეს მხარე. შარშან მილიონი ტონა ქვანახშირი გადაამუშავეს აღმოსავლეთის ნავსადგურის დოკერებმა. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მაღალმა დონემ უზრუნველყო ხელის შრომის მთლიანად აღმოფხვრა.

სურათზე: გიგანტური ციცხვ-როტორიანი იღებს ქვანახშირის და ტრანსპორტიორის ლენტს აწვდის, რომლითაც სათბობი გემის ტრიუმში ხვდება.

ს. კოზლოვის ფოტო.



ორგანული მინა

ბაშკირეთის ასსრ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბაშკირეთის ფილიალის ქიმიის ინსტიტუტის რადიკალური პოლიმერიზაციის ლაბორატორიაში მიიღეს ორგანული მინის ოპტიკურად ერთგვაროვანი ბლოკები, რომლებიც შეღებილია ლითონის შენაერთებით. ისინი ფართოდ გამოიყენება როგორც შუქდამცავი და შუქგამფილტრავი მასალები.

სურათზე: ორგანული მინისაგან დამზადებული დიდი ზომის ბლოკები.

ვ. ვონოგის ფოტო.

მსუბუქი ხდება

ბელორუსიის სსრ. მინსკის საწარმოო გაერთიანება „ჰორიზონტში" იქმნება ინტეგრალურსქემიანი უნიფიცირებული ფერადი ტელევიზორი. ეს ხელს შეუწყობს ნედლეულის დაზოგვას. თითოეულ ტელევიზორში —6 კილოგრამი შავი, 2,6—ფერადი ლითონი, 4 კილოგრამი ელექტროტექნიკური ფოლადი.

სურათზე: ტელევიზორი „ჰორიზონტ-ც-255".

ა. ტოლოჩკოს ფოტო.

მათი ნახელავი, ვინც ახალ წელს იმუშავა

თბილისი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საგაზეთო კორპუსის კოლექტივი ახალ წელს საბეჭდ აგრეგატებთან შეხვდა და დიდი აღმავლობით იშრომა. ახალი წლის ღამეს დაიბეჭდა 2,5 მილიონამდე ცალი 25 დასახელების ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთი ფერებში. აღსანიშნავია, რომ ყველა გაზეთი წინა წლებთან შედარებით ორჯერ სწრაფად დაიბეჭდა, საახალწლო გაზეთი მკითხველებმა დილაადრიან მიიღეს.

ეს წარმატება განაპირობა რედაქციების, გამომცემლობისა და სტამბის ყველა უბნის შეთანხმებულმა მუშაობამ.

თავი გამოიჩინეს ცვლის ოსტატებმა ტ. ფსუტურმა და ა. ზარიძემ, მემონტაჟეებმა ლ. წაქაძემ, ვ. იაგოროვამ, ფორმების დამამზადებელი ავტომატური ხაზის ოპერატორებმა ლ. კვაზირიძემ, ლ. ახალაძემ, მბეჭდავებმა გ. ელერდაშვილმა, ა. სულეიმანოვმა, ბ. ნაცვლიშვილმა, ელექტრომექანიკური სამსახურის მუშაკებმა ვ. ჩლაიძემ, გ. არჩვაძემ და სხვებმა.

ა. შოთაძე.

ტყიბული

ისე როგორც ყოველთვის დიდი შემართებით იშრომეს ახალი წლის პირველ დღეებში ლენინის სახელობისა (დირექტორი გ. წაქაძე) და ორჯონიკიძის სახელობის (დირექტორი უ. გურეშიძე) შახტების კოლექტივებმა. ამ საწარმოთა უბნებისა და ბრიგადების უმეტესობამ გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ქვანახშირი ამოიღო.

მიმდინარე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის ბრძოლაში ჩაბმულია ლენინის შახტის 6 საექსპლოატაციო უბანი და 24 კომპლექსური ბრიგადა. ამ საწარმოს კოლექტივმა კარგი მარაგნამატი შექმნა ახალ მიჯნების ვადამდე დასაძლევად. გასული წლის გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებულზე 8 დღით ადრე შესრულდა და 16 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ტონა ქვანახშირი 58 კაპიკით გაიაფდა.

ორჯონიკიძის სახელობის შახტაში დაწინაურდნენ მესამე და მეხუთე საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები, რომლებსაც შესაბამისად უ. კუბლაშვილი და ზ. რობაქიძე ხელმძღვანელობენ („კომუნისტის" საკ. კორ.).

რუსთავი

ახალი, 1982 წლის დადგომამდე სამი დღით ადრე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქიმიურ საათავე საამქროში მწყობრში ჩადგა უწყვეტი ქმედების პოლიმერიზაციისა და დართვის დანადგარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დანადგარის ამუშავება დაგეგმილი გახლდათ 1982 წლის პირველ კვარტალში. ახალ აგრეგატზე გამორიცხულია ის დამატებითი ოპერაციები და გადასვლები, რაც გარდუვალი იყო წინა სისტემაში.

და აი, 31 დეკემბერს დღელამის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 25 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია. ახალი აგრეგატის ამუშავებაში და ზეგეგმით პროდუქციის გამოშვებაში თავი გამოიჩინეს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ბ. გოგუაძემ, საამქროს უფროსმა დ. ფირცხალაიშვილმა და უფროსმა მეაპარატეებმა მ. ქელიძემ, ვ. ფოფხაძემ და ალ. ზიმინმა. თავდადებულად იშრომა კოროდის პირველი საგრეხი საამქროს წარმომადგენელმა ნ. ბეჟანიშვილმა, რომელმაც დაგეგმილზე სამჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა.

ნ. კურტანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" „წოდება და „გმირი დედის" ორდენი გადაეცეთ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ავალიანს ვარდო ყურშუბის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონი.
2. ქოქოევას ასიათ ვლადიმერის ასულს — მუშას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონი.
3. შაინიძეს სევია ბექირის ასულს — ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1981 წლის 30 დეკემბერი.

მუზეებისა და შთაგონების სავანე

ზღაპრული კოშკივით აღიმართა ახალი წლის წინ ბორჯომის ტყეში სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედების სახლის მთავარი კორპუსი, რომელიც ჰარმონიულად შეერწყა მთის პეიზაჟს. მას გარს აკრავს ათი მყუდრო კოტეჯი. ეს ჩვენი ქვეყნის მუსიკოსებისათვის მირთმეული ქართველი მშენებლების საახალწლო საჩუქარია.

ამ შვიდსართულიან შენობაში ყველაფერი უჩვეულოა — არქიტექტურაც, ოთახების განლაგებაც. აქ უარყოფილია დერეფნის სისტემა. ნომრების კარი გადის შიდა აივნებზე, რომლებიც დეკორატიული აუზით დამშვენებულ გადახურულ ეზო-ვესტიბიულს გადაჰყურებს. სახლის გაფორმებაში ჭარბობს ხე. ხით არის მოპირკეთებული კინო-საკონცერტო დარბაზის სახურავი, გარეთა აივნები, შიდა და გარეთა კედლები. ხის ხრახნილი კიბეები აერთიებს ანტრესოლურ სართულებს.

საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში დაპროექტებული კომპლექსის შექმნისას რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 3 ბორჯომის სამშენებლო სამმართველოს მუშაკები სათუთად მოეკიდნენ წარმტაც ბუნებას. არც ერთი ფიჭვი არ მოუჭრიათ, ერთ-ერთ კოტეჯში კი ხის მძლავრი ტანი თითქოს შენობის სახურავიდან ამოსულაო.

აქ მუშაობდა სხვადასხვა სპეციალობის ასამდე მშენებელი. მათ შორის სამსონიძეების მუშური დინასტია. ამ ოჯახის უკვე მესამე თაობა აშენებს კურორტზე საცხოვრებელ სახლებს და ტურბაზებს. 72 წლის იასონი ხუროა, მისი ძმისწული გიორგი და მისი ვაჟიშვილები — ნიკოლოზი და შოთა მომპირკეთებლები არიან.

სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მშენებლებს შეუერთდა ბორჯომის ახალგაზრდობა — № 7 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და სატყეო ტექნიკუმის მოსწავლეები, თქვა შემოქმედების სახლის დირექტორმა კ. კალმახელიძემ, — მათ აქ დარგეს ნაძვები, მიწა კოინდრით

ბორჯომის რაიონის ასამუშავებელ ობიექტებზე

დაფარეს, კეთილმოაწყვეს ტერიტორია.

— შემოქმედების სახლის მთავარი კორპუსი 170 კაცისთვის არის გათვალისწინებული,—თქვა სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ნ. ძიძიგურმა. — კიდევ ოცდაათ კაცს კოტეჯები დაიტევს. ავეჯი ახალდაბის ავეჯის ფაბრიკამ დაამზადა, ხის დეტალებს აწვდიდნენ ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობები, ხოლო ფერადი ფილები, რომლებითაც მოპირკეთებულია კოტეჯები, სპეციალურად გამოგზავნა რესპუბლიკის საშენ მასალათა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურმა გაერთიანებამ. კომპლექსის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წელს შევუდგებით გადახურული აუზის, მწვანე თეატრის, ჩოგბურთისა და ფრენბურთის მოედნების მშენებლობას, დავამთავრებთ კინო-საკონცერტო დარბაზს.

კანონზომიერია, რომ კომპოზიტორთა შემოქმედების სახლი ბორჯომში აშენდა. ცნობილი კურორტი განთქმულია თავისი მუსიკალური ტრადიციებითაც. პ. ი. ჩაიკოვსკიმ აქ დაწერა თავისი შესანიშნავი საგუნდო ნაწარმოები „ღამეს ათევდა ოქროს ღრუბელი", აქ ქმნიდნენ ტ. ხრენიკოვი, გ. სვირიდოვი, ა. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი, სიმღერის ჟანრში მომუშავე კომპოზიტორები ო. ფელცმანი, ი. ფრენკელი, მ. ფრადკინი. ბორჯომის საზოგადოების წინაშე რეგულარულად გამოდიან ზ. სოტკილავა, ლ. ქყონია, მ. ამირანაშვილი, ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლები. ამას წინათ ადგილობრივ მუსიკალურ სკოლაში, რომელიც ჩაიკოვსკის სახელს ატარებს, გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო.

ახალი კომპლექსი, რომელშიც ყველა პირობაა შემოქმედებითი მუშაობისათვის, კიდევ უფრო გააფართოებს ბორჯომის კავშირურთიერთობას ქვეყნის მუსიკალურ მოღვაწეებთან. ყოველ კოტეჯში და ბევრ ნომერში დადგმულია პიანინო. სიწყნარე, მთის ჰაერი, დიდებული, თავისებური ბუნება შთაგონების წყარო იქნება აქ ჩამოსული კომპოზიტორების, მომღერლებისა და შემსრულებლებისათვის.

— ეს ჩვენი ერთადერთი ახალი მშენებლობა როდია, —თქვა პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გურგენიძემ— შარშან მწყობრში ჩადგა ოლიმპიურ ნაკრებთა ზამთრის სახეობათა სპორტში მომზადების სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი. მიმდინარეობს ჩვენი უძველესი ტურბაზის რეკონსტრუქცია. მალე ორი ბაგირგზა გაუყვება ბორჯომის ხეობის ულამაზესი კუთხეებისაკენ, რომლებიც ასე უყვართ დამსვენებლებსა და ტურისტებს.

ახალი, 1982 წლის პირველ დღეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ბორჯომის შემოქმედების სახლი დაათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მშენებელთა მუშაობას.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გაეცნო აგრეთვე ბორჯომის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს, დაათვალიერა მტკვარზე ახალი კიდული ხიდი, რომელმაც კორტანეთისა და ვარდგინეთის სოფლების მცხოვრებნი ბორჯომ-თბილისის ავტოტრასას დაუკავშირა. საპატიო სტუმარი საახალწლო ნაძვისხეზე მიიწვიეს ნორჩმა ბორჯომელებმა — საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" მუშებისა და მოსამსახურეების შვილებმა.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად ბორჯომის რაიონში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

საცდელ ნაკვეთებზე

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების აგროეკოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყოფილება აწარმოებს ცდებსა და დაკვირვებებს სახალხო მეურნეობაში ბამბუკის მერქნის გამოსაყენებლად. ცდებს აწარმოებენ წყალტუბოს ზონის სოფელ რიონში, თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში, გურჯაანის რაიონის სოფელ შრომაში, თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში, მახარაძის რაიონის სოფელ ანასეულში.

საცდელ ნაკვეთებზე ცდიან „მოსოს", იაპონური და ჩინური „მადაკეს" ჯიშის ბამბუკებს.

თელავისა და გურჯაანის რაიონებში ცდიან „მოსოს", ჩინურ და იაპონურ „მადაკეს" და იაპონურ მადაკეს „თესლის თაობას". სოფელ შრომასა და ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში თითო ჰექტარზე გაშენებულია ამ ოთხი ჯიშის ბამბუკი. ამავე დროს ამ მეურნეობაში თითო ჰექტარ ახალშენ ვენახებში რკინაბეტონის ბოძების მაგივრად გამოსაცდელად გამოყენებულია „მოსოს" ჯიშის ბამბუკის 2,5-მეტრიანი ბოძები, ხოლო ვაზის სწორი შტამბის აღზრდის მიზნით ვაზებს 4 ათასი ცალი ჩინური „მადაკეს" მერქნის 1,5-მეტრიანი ჭიგო აქვს ამოყენებული. პირველი შედეგები დიდი იმედის მომცემია. ვენახებში ბამბუკის ბოძებისა და ჭიგოს გამოყენება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

გ. რამიშვილი,
გაერთიანების აგროეკოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე.

ნაყოფიერი შრომა-ჯაფისათვის

ჯილდოების გადაცემა

ყოველი ახალი წელი აჯამებს არა მარტო მიმავალი წლის შედეგებს, არამედ ადამიანების, კოლექტივების ცხოვრების მთელი მონაკვეთის შედეგებსაც. აჯამებს მათი შრომის შედეგებს. ახალი, 1982 წლის წინ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის კვების, ხორცისა და რძის, ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დიდ ჯგუფს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

— ჩვენ გვესმის, — თქვა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ეკონომისტმა გ. ცომაიამ, — რომ ჩვენი შრომის მაღალი შეფასება მოგვხოვს ძალთა კიდევ მეტ შეკავშირებას ხუთწლედის გეგმებისა და მისი ცენტრალური ამოცანის — სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის.

იმავე დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ გადაეცა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სახელოვანი შემოქმედებითი კოლექტივის ჯგუფს სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სიგელი „სსრ კავშირის სახალხო არტისტის" წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ მ. თუმანიშვილს — კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინომსახიობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და რ. ჩხიკვაძეს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

პოეტ ჯ. ჩარკვიანს გადაეცა „ხალხთა მეგობრობის" ორდენი, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 50 წლის თავთან დაკავშირებით.

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 60 წლის თავთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკთა ჯგუფს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ჯილდოების გადაცემისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს, უსურვა დიდი შრომითი წარმატებები და ბედნიერება ახალ წელს. (საქინფორმი).

დღის ნომერში:

- საკვირაო ფოტოეკრანი — „ჩვენს დიად სამშობლოში". (პირველი გვ.)
- კაპიტალის სამყაროს მძიმე მემკვიდრეობა. (მე-2 გვ.)
- ჩვენი მუდმივი რუბრიკა: „საკვირაო საკითხავი". (მე-3 გვ.)
- „ვინამ თქვა თუშოა დალევა!" — საახალწლო რეპორტაჟი. (მე-4 გვ.)

კუბის ეროვნული დღესასწაულის გამო

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს, კუბის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კუბის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, მთელ კუბელ ხალხს გულითადად მიულოცეს ეროვნული დღესასწაულის — განთავისუფლების დღის გამო.

აი უკვე 23 წელია, ნათქვამია დეპეშაში, რევოლუციის სახელოვანი დროშა ფრიალებს თავისუფლების კუნძულზე. ამ დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კუბელი ხალხი მტკიცედ ადგას სოციალისტური მშენებლობის გზას, ახალ-ახალ მიჯნებს ძლევს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, მოზარდი თაობის აღზრდაში. რევოლუციური განვითარების თითოეული წელი სოციალისტურ კუბას კიდევ უფრო აძლიერებს, ხელს უწყობს მისი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მშრომელთა ინტერესებისათვის საზოგადოების გარდაქმნის საქმეში კუბის მდიდარი გამოცდილება დიდი პრაქტიკული ღირებულებაა ბევრი ქვეყნისათვის, რომლებიც ადგებიან დამოუკიდებელი განვითარებისა და ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზას. დიდია კუბის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტი, რომელიც თანამიმდევრულად იღვწის სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი, სამართლიანი ურთიერთობისათვის, თითოეული ხალხის უფლებისათვის თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი, იბრძვის რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, ყოველგვარი ფორმის იმპერიალისტური ჩაგვრისა და დიქტატის წინააღმდეგ. დიდი პატივისცემა დაიმსახურა მსოფლიოში კუბელმა ხალხმა — მშრომელმა, პატრიოტმა, ინტერნაციონალისტმა ხალხმა.

სოციალიზმის მშენებლობაში მოძმე კუბის წარმატებანი, მისი პრინციპული საგარეო პოლიტიკა აშფოთებს იმპერიალიზმის აგრესიულ წრეებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩაღებული ანტიკუბური კამპანია, ცდები დააშინონ გმირი კუბელი ხალხი, დაგმეს თქვენი ქვეყნის მეგობრებმა, მთელმა პროგრესულმა და მშვიდობისმოყვარე ძალებმა.

ორივე პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული მეგობრობა და ძმობა წლითიწლობით მტკიცდება. დროით საიმედოდ შემოწმებული ეს მეგობრობა და ძმობა შეესაბამება ჩვენი ხალხების, ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყნის ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმეს.

დეპეშაში რესპუბლიკის ყველა მშრომელს უსურვებენ ახალ წარმატებებს კუბის კომუნისტური პარტიის II ყრილობის მიერ დასახული აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტაში, სოციალისტური კუბის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის ღონისძიებებში. (საქდესა).

მოზეიმე კუბა

ჰავანა. საყოველთაო პოლიტიკური აღმავლობისა და ენთუზიაზმის ვითარებაში აღნიშნა კუბელმა ხალხმა ეროვნული დღესასწაული — განთავისუფლების დღე — რევოლუციის გამარჯვების 23 წლის თავი.

მთელ ქვეყანაში — სამრეწველო საწარმოებში, სახელმწიფო მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში გაიმართა საზეიმო მიტინგები, კრებები, საზეიმო საღამოები, შეხვედრები რევოლუციური ბრძოლის მონაწილეებთან. მათ ცხადყვეს მშრომელთა ურღვევი შეკავშირება თავიანთი ნაცადი ავანგარდის — კუბის კომუნისტური პარტიის გარშემო.

კუბელებმა ოპტიმიზმით დაიწყეს ახალი წელი, რომელსაც აქ „რევოლუციის გამარჯვების 24-ე წლისთავის წელი" უწოდეს. იგი ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება სოციალიზმის მშენებლობისათვის კუბელი მშრომელების ბრძოლაში.

მიმდინარე ხუთწლედში დიდი კაპიტალდაბანდებანია გათვალისწინებული კუბის დედაქალაქ ჰავანაში საწარმოთა გასაფართოებლად და ახალი ობიექტების მშენებლობისათვის, მოდერნიზდება საზღვაო ნავსადგური, რკინიგზის კვანძი, საერთაშორისო აეროპორტი.

სურათზე: საბჭოთა გემები ჰავანის ნავსადგურის ხშირი სტუმრები არიან.

ადნ-საქდესის ფოტო.

გესაუბრებათ მინისტრი

ტყის სასურსათო პოტენციალი

საქინფორმის კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ჭალაგანიძე

პატივცემულო შოთა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა: საჭიროა, რომ არა მარტო რესპუბლიკას, არამედ ყოველ ქალაქს, ყოველ რაიონს, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, ყოველ საწარმოს ჰქონდეს თავისი სასურსათო პროგრამა. პლენუმზე ისიც ითქვა, რომ თქვენს სამინისტროში საკმაოდ საინტერესო პროგრამა შეიქმნა, რა არის მისი არსი?

— ჩვენი ძირითადი ფუნქციების შესრულების — ტყის სიმდიდრეთა გამრავლებისა და დაცვის, ტყის პროდუქტიულობის გაზრდისა და მისი ბუნებრივი თვისებების, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების გარდა, დიდი მუშაობა გავწიეთ ვრცელი სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის.

თავდაპირველად გულდასმით ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობები. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი 2.400 ათას ჰექტარზე მეტს შეადგენს. აქედან 76 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია. 72 ათასი ჰექტარი მიჩენილი აქვთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო 4 ათას ჰექტარამდე სათიბებს, საძოვრებსა და სახნავს სატყეო მეურნეობები იყენებენ.

ჰოდა, ჩვენმა ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, რომ დარგის სატყეო მეურნეობებში, ბუნებრივ სავარგულებზეც და სათეს ფართობებზეც, შეგვიძლია წელიწადში შვიდი ათას ტონამდე საკვები ერთეულის წარმოება, რაც 700 ტონა ხორცის ტოლფასია. ძირითადად, კურსი ავიღეთ ხორცის დაჩქარებული წარმოების, უწინარეს ყოვლისა სატყეო მეურნეობის პირობებში მეცხოველეობის ისეთი სწრაფშედეგიანი დარგის განვითარებისათვის, როგორიც არის მეღორეობა. მიმდინარე წლის დამლევისათვის სამინისტროს 60 საწარმოში ღორის სულადობა ხუთი ათასს, ხუთწლედის ბოლოს კი 10 ათასს შეადგენს. ყოველ სატყეო მეურნეობაში დაგეგმილი გვაქვს შევქმნათ მეღორეობის ფერმები.

— სატყეო მეურნეობებისათვის მიჩენილი სავარგულების ტერიტორია არ გაიზრდება, მაშასადამე, ვერც საკვები რესურსების წარმოების მკვეთრად გადიდების იმედი უნდა ვიქონიოთ. ამავე დროს, როგორც ახლა ბრძანეთ, ღორის სულადობა 1985 წლისათვის ერთიორად მოიმატებს. როგორ უზრუნველყოფთ ამ მატებას?

— იმას როდი ვამბობ, თითქოს ისეთი ჯიშის ღორი ამოვარჩიეთ, რომელიც ორჯერ ნაკლები საკვებით ერთიორად იმატებდეს წონაში. მაგრამ ჩვენ გამოვნახეთ სატყეო მეურნეობების პირობებისათვის ოპტიმალური ჯიშები — კახური და მანგალიცური. ტყის ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე ამ ჯიშის პირუტყვის ძოვება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ კომბინირებული საკვების შემოტანასთან დაკავშირებული ბევრი საზრუნავი. შესაბამისად მცირდება ხორცის თვითღირებულებაც.

სანამ ნათქვამს დავადასტურებდე, მოვიყვან სხვა ციფრებს — ღორის ხორცის წარმოების თვითღირებულების ციფრებს. 1975 წელს ერთი ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულებამ 252 მანეთი შეადგინა, ამასთან ამ თანხის თითქმის ნახევარი საკვებს მოხმარდა. შარშან კი ასი კილოგრამი ხორცის თვითღირებულება 220,5 მანეთამდე შემცირდა, ხოლო საკვების ღირებულების წილი — 35 პროცენტამდე.

ახლა კი — რეალურ საკვებ ბაზას რაც შეეხება. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ საკუთარ საკვებს, ხოლო კომბინირებულ საკვებს, რომელიც გვაკლია, ვიღებთ წიწვის და ბალახის ფქვილის სანაცვლოდ.

არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოზრდასაც. მიმდინარე ხუთწლედში ვფიქრობთ არსებული საკვები ბაზის საფუძველზე მოვაგვაროთ ძროხის სუქება ოჩამჩირისა და გურჯაანის სატყეო მეურნეობებში. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი სუქება ეკონომიკურად მომგებიანია, იგი მაქსიმალურად გამოგვაყენებინებს სახელმწიფო ტყის ფონდში არსებულ ბალახის კონვეიერს.

— სატყეო მეურნეობათა მუშაკები მოუცლელი ხალხია, მათ ბევრი მოვალეობა აკისრიათ ტყის დაცვაში. ვინ და როგორ მოჰკიდებს ხელს პირუტყვის სუქებას?

— პირუტყვის ჯოგებს მიუჩენენ ხოლმე სატყეო მეურნეობების მუშაკებს და ისინი კოოპერირების ხელშეკრულების საფუძველზე ამ პირუტყვს საძოვრებზე გაასუქებენ. განვმარტავ: ფერმებში მყოფ პირუტყვს სპეციალურად დაქირავებული მეცხოველეები მოუვლიან, თვით სატყეო მეურნეობათა მუშაკები კი გასასუქებლად მიიღებენ გოჭებსა და ხბოებს. შედგენილია ღორის გამოზრდისათვის ჩვენი მუშაკების შრომის ანაზღაურების სანიმუშო გაანგარიშებაც. მაგალითად, თუ მეტყევის ოჯახი საკონდიციო წონამდე გაასუქებს, ვთქვათ, 20 გოჭს, იმ პირობით, რომ დავეხმარებით მას საკვებით, მაშინ იგი ამისათვის, დაახლოებით 2.500 მანეთს მიიღებს.

უფრო მეტიც, ამოცანის გადაწყვეტის გასაადვილებლად, ვაპირებთ შევქმნათ საკუთარი სანაშენეები და ინკუბატორები მოზარდეულის მომრავლებისათვის, რათა შემდეგ გასასუქებლად გადავცეთ იგი ჩვენს მუშაკებს, გარდა ამისა შევქმნით მანქანა-ტრაქტორების პარკს, რომელიც საკარმიდამო მეურნეობებს მოემსახურება.

შემდგომშიც სრულვყოფთ იმ მუშაკთა სტიმულირებას, რომლებსაც გასასუქებლად მიჰყავთ პირუტყვი. მაგალითად, თუ 1981 წელს მათი შრომის ასანაზღაურებლად 106 ათასი მანეთი გამოვყავით, ხუთწლედის დამლევამდე ეს ციფრი 330 ათას მანეთს მიაღწევს.

— მეცხოველეობის გარდა კიდევ რა დარგებს მოიცავს თქვენი სასურსათო პროგრამა?

— ჩვენი სასურსათო კომპლექსი უკვე დღეს აწვდის მოსახლეობას თაფლს, ახალ თევზს, სოკოს. მალე ამ ძვირფასი კვების პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზრდება. მაგალითად, მთელი მეათე ხუთწლედის განმავლობაში 0,4 ტონა სოკო ჩავაბარეთ. 1981 წელს კი უკვე ჩავაბარეთ 50 ტონა, ხოლო მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე 270 ტონას დავამზადებთ.

საქართველოს ბუნება, მისი ტყიანი ზონები მდიდარია წყალსატევებით. და მიუტევებელი უყაირათობა იქნებოდა, არ გამოგვეყენებინა ისინი თევზის მოსაშენებლად. დავსახეთ კიდეც ამ წყალსატევებში ლიფსიტების გაშვების ვრცელი პროგრამა, სპეციალური თევზსაშენის შექმნასაც ვაპირებთ. საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა და პერსპექტივა კი ასეთია: მეათე ხუთწლედში 40 ტონა თევზი ვაწარმოეთ, 1981 წელს — 56 ტონა, მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე კი სავაჭრო ორგანიზაციებს 770 ტონა თევზს მივაწვდით.

აქტიურად მოვკიდებთ ხელს საფუტკრე მეურნეობის განვითარებას. აქაც საგრძნობლად იმატა ტკბილი პროდუქციის გამოშვებამ: მეათე ხუთწლედში მან შეადგინა — 64,4 ტონა თაფლი, 1981 წელს — 27 ტონა, მეთერთმეტე ხუთწლედში კი 154 ტონას მივიღებთ.

— ტყეში უხვად არის ველური კენკრა, ძვირფასი სამკურნალწამლო ბალახები. შეიტანეთ თუ არა ისინი თქვენს სასურსათო პროგრამაში?

— რა თქმა უნდა. საქართველოს ხომ საბჭოთა კავშირში ბადალი არა ჰყავს მრავალფეროვანი კენკრისა და სამკურნალწამლო მცენარეთა რაოდენობის მიხედვით. ჩვენ უკვე ახლა ყოველწლიურად ვკრეფთ 30 ტონა ასკილს, ამ კულტურის ხუთწლიანი გეგმა კი სამინისტრომ 110 პროცენტით შეასრულა. მაგრამ უნდა გავზარდოთ კენკრისა და ბალახის წარმოება. საამისოდ კულტურულ პლანტაციებს შევქმნით 200 ჰექტარ ფართობზე.

— თქვენი სამინისტროს შენობის გვერდით, მშვიდობის ქუჩაზე, მდებარეობს მაღაზია სახელწოდებით „ტყის ნობათი". რამდენადაც ვიცით, იგი ჯერჯერობით ერთადერთია არა მარტო თბილისში, არამედ, მგონი, რესპუბლიკაშიც. რა გზით გაფართოვდება ვაჭრობის ასეთი ფორმა — „ტყე — მაღაზია"?

— ჩვენი სამინისტროს სისტემაში იქმნება ასეთივე სახელწოდების სამრეწველო-სასურსათო-სავაჭრო გაერთიანება. ეს არის სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, რომელშიც შევა ქვეგანაყოფები: ტყისა და ხე-ხეხილის სანერგე, სასათბურე მებოსტნეობის მეურნეობა, სოკოს სამრეწველო მოყვანის წარმოება, საკონსერვო ქარხანა, მაღაზია და ა. შ. მისი მთავარი მიზანია გავადიდოთ და გავაფართოვოთ თანამედროვე პროდუქტების, სამკურნალწამლო ნედლეულის, ტყის თესლის, ტყის სხვა რესურსების დამზადება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკვების წარმოება, მათი გადამუშავება და რეალიზაცია, გაერთიანების მოვალეობაა საწარმოო დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაც.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ახალი ქვეგანაყოფი თავის მუშაკებსა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს ნებაყოფლობითს საფუძველზე დაუდებს კოოპერირების გზით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეკრულებებს.

ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ, როცა გაერთიანება აითვისებს „საპროექტო სიმძლავრეს", მისი რენტაბელობის დონე 30 პროცენტს მიაღწევს, რესპუბლიკის მოსახლეობა კი დამატებით მიიღებს მრავალ ტონა ძვირფას სასურსათო პროდუქტებს.

— და ბოლო კითხვა. ხელს აძლევს თუ არა ეკონომიკური თვალსაზრისით სამინისტროს თქვენი სასურსათო კომპლექსი?

— მე უკვე მოვიყვანე რამდენიმე ციფრი, რომლებიც თვალნათლივ ადასტურებს ჩვენი ამა თუ იმ წამოწყების რენტაბელობას. მოვიყვან ზოგად ციფრებსაც: თუ მეათე ხუთწლედის სასტარტო წელს სასურსათო პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ 256 ათასი მანეთი შეადგინა, მის დამლევს — 1980 წელს — ეს მაჩვენებელი უკვე მილიონ 567 ათას მანეთს უდრიდა. 1981 წელს მილიონ 700 ათასი მანეთის მიღების იმედი გვაქვს, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის მიწურულს ეს ციფრი ერთიორად გაიზრდება და თითქმის სამ მილიონ-ნახევარ მანეთს მიაღწევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა სასურსათო პრობლემა ხუთწლედის ცენტრალურ პრობლემად დაასახელეს და მოგვიწოდეს სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, ყოველ საწარმოში შევქმნათ სასურსათო პროგრამები. ტყის სასურსათო პოტენციალი უზარმაზარია, და ჩვენი ვალია გამოვიყენოთ იგი.

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო დღევანდელის ზურგზე ცხოვრება

ფაქტები მოვლენები

2 იანვარი

● ბულგარეთი

სსრ კავშირის შეკვეთით

სოფია. საბჭოთა კავშირისათვის განკუთვნილი პირველი კონტეინერმზიდი ჩააბარეს შემკვეთებს გასული წლის უკანასკნელ დღეებში ვარნის გ. დიმიტროვის სახელობის გემთსაშენებელ ქარხანაში.

ბულგარელი გემთმშენებლების მიერ ათვისებული ახალი ტიპის გემი აშენებულია ამ დარგის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით. იგი ყველაზე ჩქაროსნულია ბულგარეთის გემთსაშენებში აგებულ გემებს შორის და შეუძლია გადაზიდოს 420 საზღვაო კონტეინერი.

შეხვედრა ბონში

ბონი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. რაკოვსკი აქ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ. — დ. გენშერს.

როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, შეხვედრის შემდეგ ჰ. — დ. გენშერი ტელეფონით ესაუბრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. შმიდტს, რომელიც ამჟამად დასასვენებლად იმყოფება და აცნობა მას გამართული შეხვედრის ამბავი.

● დანია

ახალი მთავრობა

კოპენჰაგენი. აქ გამოაცხადეს დანიის ახალი მთავრობის შემადგენლობა. მას სათავეში კვლავ ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ა. იორგენსენი. უმცირესობის კაბინეტში შევიდნენ მხოლოდ დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელმაც 8 დეკემბერს გამართულ ვადამდე საპარლამენტო არჩევნებში 59 დეპუტატის მანდატი მიიღო 179-დან, და ცხრა ადგილი დაკარგა ფოლკეტინგში.

ახალი მთავრობის შემადგენლობა არსებითად არ შეცვლილა. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კვლავ დაინიშნა ქ. ოლესენი, ეკონომიკის მინისტრისა — ი. ნერგორი, თავდაცვის მინისტრისა — პ. სეგორი. როგორც ადგილობრივი მიმომხილველები იტყობინებიან, ახალი კაბინეტი თავის საქმიანობაში მაშინვე წააწყდება ქვეყნის ურთულესი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ძიებასთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემებს.

მათ განეკუთვნება გაჭიანურებული სამრეწველო დაქვეითება, ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდა. უკანასკნელ დროს მკვეთრად გაუარესდა დანიის ეკონომიკური მდგომარეობა. 12 პროცენტამდე გაიზარდა ინფლაციის ტემპი, ქვეყნის საგარეო დავალიანებამ 100 მილიარდ კრონს გადააჭარბა. 1981 წელს, ოფიციალური მონაცემების თანახმად, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 1 პროცენტით შემცირდა. ახლა „ზედმეტი ადამიანების" რიცხვი 300 ათასს აღემატება, რაც დანიის მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის 11,5 პროცენტს შეადგენს.

● სირია

ოფიციალურ ვიზიტად

დამასკო. სირიის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი აკბარ ველაიათი. როგორც სანის სააგენტო იუწყება, იგი მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა. მოლაპარაკების დროს ა. ა. ველაიათიმ დაგმო ისრაელის გადაწყვეტილება გოლანის მაღლობების ანექსიის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს აქცია თელ-ავივის იმპერიალისტური გეგმებისა და ექსპანსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მან სოლიდარობა გამოუცხადა სირიელ ხალხს და დაადასტურა, რომ ირანი მზად არის სირიას ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სიონისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

● განა

სახელმწიფო გადატრიალება

ლონდონი. განის რესპუბლიკაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. რეიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს აკრის რადიოს, იუწყება, რომ სამხედროებმა სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტნის ჯერი როლინგსის მეთაურობით დაამხეს პრეზიდენტ ჰ. ლიმანის მთავრობა და ძალაუფლება ხელში აიღეს.

ეს უკვე მეხუთე გადატრიალებაა დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 11 მილიონია.

● ლიბია

აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა

ტრიპოლი. ლიბიამ და საუდის არაბეთმა მიიღეს გადაწყვეტილება აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა, იუწყება ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტო.

ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, მიღებულია საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში არაბთა ერთიანობის განმტკიცების მიზნით.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● სან-ფრანცისკო

ამერიკის ხელისუფალნი ცდილობენ რეპრესიებით დააშინონ ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილენი. კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში ასამართლებენ როკი-ფლეტსის სამხედრო ქარხანასთან გამართული მანიფესტაციის ხუთ მონაწილეს. ამ ამერიკელთა მთელი „დანაშაული" ის იყო, რომ ქარხნის მუშებს შორის ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც დაგმობილი იყო რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გამალებული ბირთვული შეიარაღების გადიდების კურსი.

დემონსტრანტებს წაუყენეს „სასამართლოს უპატივცემლობის" მოგონილი ბრალდება, რაც მათ ემუქრება პატიმრობითა და დიდი ფულადი ჯარიმით.

● კოტონუ

ზემო ვოლტის 1982 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა ამ სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრმა ე. კიმ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — ეროვნული პროგრესისათვის აღორძინების სამხედრო კომიტეტს. უაგადუგუდან მიღებული ცნობებით, ბიუჯეტით ასიგნებანი გაიზრდება 20,9 პროცენტით და მიმდინარე წელთან შედარებით შეადგენს 48,9 მილიარდ აფრიკულ ფრანკს.

ვითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტი ძირითადად დაფინანსებული იქნება შინაგანი წყაროების ხარჯზე, აღნიშნა მინისტრმა. მან თქვა, რომ პროექტში ასახულია ინფლაციის ზრდითა და სხვა ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული სიძნელეები.

კაპიტალის სამყარო—82:

მძიმე მემკვიდრეობა

ნაღვლიანი ახალი წელი

ლონდონი. „ძვირფასო სანტა კლაუს, მამაჩემს სამუშაო არა აქვს და ძალიან გთხოვ, მას რაიმე ადვილი უშოვო. ერთი პატარა თოჯინაც მინდა, მაგრამ უმჯობესია მამას ჰქონდეს სამუშაო ადგილი", — წერს 8 წლის ბირმინგემელი გოგონა. მეორე მანჩესტერელი გოგონა, რომელიც ათი წლისაა, სანტა კლაუსს სთხოვს: „ჩემთვის ყველაზე საუკეთესო საახალწლო საჩუქარი იქნებოდა, მამა რომ დაბრუნდებოდეს. დედამ მითხრა, ჩვენს ქალაქში სამუშაო არ არის და მამაშენი სხვა ქალაქში წავიდა სამუშაოს საძებნელადო".

ამ ნორჩი ინგლისელების, ისევე როგორც სხვა ათასობით ბავშვის, თხოვნის ბარათებს წარწერით „სანტა კლაუსს", ინგლისის ფოსტა ლივერპულში სასტუმროს მფლობელს ჯიმი გილმურს უგზავნის. ბოლო ოცი წლის მანძილზე იგი ასეთ ბარათებზე პასუხებს გზავნის, მაგრამ წლეულს, როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა.

წლითიწლობით ჯიმი გილმურს, საფოსტო თოვლის პაპას, სულ უფრო მეტად უჭირს დამაიმედებელი პასუხის გაცემა ბავშვთა ბარათებზე.

ფოტოობიექტივი ამხილებს

„ზედმეტ ადამიანთა" პროტესტი

ვაშინგტონი. გრძელ რიგად ჩამწკრივებულან ცხოვრებისაგან ილაჯგაწყვეტილი ეს ადამიანები. მოხუცები და ახალგაზრდები, ზანგები და თეთრკანიანები მოთმინებით ელოდებიან თავიანთ რიგს. ულუფა მცირეა, მაგრამ იმის საშუალებას იძლევა, რომ ცოტა ხნით მაინც მოიკლან შიმშილი.

ასეთ სცენებს „მადლობის დღეს" ნახავდით მთელ ქვეყანაში. ეს რიგიც თეთრი სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლაფაიეტ-პარკში და ეს უსახლკარო ამერიკელებიც (ზემო სურათზე) იმის თვალსაჩინო ილუსტრაციაა, თუ რაოდენ ფარისევლურია შეერთებულ შტატებში ახლანდელი ადმინისტრაციის „ზრუნვა ნამდვილად გაჭირვებულებზე". დაე, პრეზიდენტმა ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ლატაკთა უბნები მოინახულოს, და დარწმუნდება, რა შედეგი მოხდევს „რეიგანომიკას", განაცხადა დედაქალაქის ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. სნაიდერმა.

იტალიელი მშრომელები ხმას იმაღლებენ ქვეყანაში მზარდი უმუშევრობის გამო. „ზედმეტ ადამიანთა" არმიამ აპენინზე ამჟამად რეკორდულ მაჩვენებელს — 2 მილიონს მიაღწია, მათგან სამი მეოთხედი 29 წლამდე ახალგაზრდაა.

სურათზე: ნეაპოლელი უმუშევრები პროტესტის ნიშნად ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ. ამ ქალაქში უმუშევრობის უველაზე მაღალი დონეა.

საქდესის ფოტო.

წარმოების დაქვეითება

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები 1982 წელს შეხვდა ეკონომიკურ სიძნელეთა მძიმე ტვირთით. ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, ნოემბერში სამრეწველო წარმოება დაეცა 2,1 პროცენტით, ამასთან დაქვეითება გრძელდება უკვე ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში. ამერიკის ქარხნები და ფაბრიკები ახლა დატვირთულია მხოლოდ 74,9 პროცენტით, ხოლო ფოლადსადნობი მრეწველობა — 50 პროცენტით. საავტომობილო კონცერნებმა დეკემბერში აწარმოეს 21 პროცენტით ნაკლები ავტომობილები, ვიდრე ერთი წლის წინათ.

უმუშევრობა

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ახალ წელს ჰყავს „ზედმეტი ადამიანების" მთელი არმია, რომელიც ერთიორად გაიზარდა გასული წლის დამდეგთან შედარებით. „ყველაზე სერიოზული პრობლემა" უწოდა უმუშევრობას მოსახლეობისადმი საახალწლო მიმართვაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა. ამჟამად აქ ოფიციალურად რეგისტრირებულია 1,7 მილიონამდე უმუშევარი, ამასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობის მინისტრის ო. ლამბსდორფის აზრით, უმუშევრობის დონე 1982 წელს საშუალოდ ორმილიონიან მიჯნაზე დარჩება.

ცხოვრების გაძვირება

კოპენჰაგენი. შარშანდელი ნოემბრიდან წლევანდელ ნოემბრამდე დანიაში საცალო ფასები საშუალოდ 12,2 პროცენტით გაიზარდა.

სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში სურსათი გაძვირდა 14,4 პროცენტით, სათბობი და ელექტროენერგია — 26,5 პროცენტით, ტრანსპორტით მგზავრობა — 17 პროცენტით.

გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე" წერს, რომ მზარდი ინფლაციის შედეგად ქვეითდება დანიელთა ცხოვრების დონე. გასულ წელს მოსახლეობის რეალური შემოსავალი 3-4 პროცენტით შემცირდა.

მასობრივი დათხოვნები

ტოკიო. იაპონიის სახელმწიფო რკინიგზების ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ითხოვს 1.000-ზე მეტ ტოკიოელ რკინიგზელს. დედაქალაქის სატრანსპორტო კვანძის „ზედმეტ" მუშა-მოსამსახურეთა შემცირება მასობრივი დათხოვნების პროგრამის ნაწილია, რომელსაც მთავრობა ახორციელებს „წარმოების რაციონალიზაციის" საბაბით. მიმდინარე საფინანსო წლის დამლევამდე სამუშაოს დაკარგავს 12 ათასი, 1986 წლისათვის კი 60 ათასზე მეტი იაპონელი რკინიგზელი.

გაფიცვები

ლიმა. პერუში 1981 წელს გაიმართა 800 გაფიცვა, რომლებშიც მილიონამდე მშრომელი მონაწილეობდა. შრომის სამინისტროს მონაცემებით საგაფიცვო მოძრაობაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ სამთამადნო მრეწველობის მუშები.

გაფიცულთა მთავარი მოთხოვნა იყო შრომის პირობების გაუმჯობესება და ხელფასის მომატება ცხოვრების გაძვირების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა"

აგუმაას სოფიო ხინტრუგის ასულს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ბაბლიძეს თინა ნიკოლოზის ასულს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თოფურიძეს ბორის ნიკოლოზის ძეს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

კამკიას ნურბეი თეიმურაზის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა"

კორტავას დიმიტრი ვლადიმერის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

მარზოლიას მიხეილ კონსტანტინეს ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.

სულიკაშვილს გიორგი ივანეს ძეს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა"

კოტლიაროვს ევგენი გიორგის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა"

ბექაურს ნოდარ ალექსანდრეს ძეს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ერმოლოვს ალექსი კიბეის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ზუხბას მაქარ ქუჩის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლაკობას ნელი გრიგოლის ასულს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

მასხულიას ნოდარ ალექსანდრეს ძეს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

საკანიას სერგი ვიქტორის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ტანიას ამირან ვლადიმერის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ქართსხანიძეს ნოდარ პლატონის ძეს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ხარაძეს ოფელია ონოფრეს ასულს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ჯოპუას რუშნი კუკუს ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა"

დეისაძეს ილია გრიგოლის ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის ელექტროსამქროს გამგეს.

ლედნევას ანასტასია ანტონის ასულს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის საპარიკმახეროს გამგეს.

პოპოვას ევდო თევდორეს ასულს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის სამკერვალო საამქროს გამგეს.

ქიშმარიას ნური შალვას ძეს — ს. ი. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის მოადგილეს.

წიკლაურს თამარ ივანეს ასულს — სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 30 დეკემბერი.

დაგვებედოს, დაგვექვებოს!

რა ხალხია ეს კორესპონდენტები, სწორედ მაშინ დაგადგებიან თავზე, როცა მართლა კაი გუნებაზე ხარ და გეკითხებიან ამთისას და იმ ბარისას. ახლაც, აჰა!... გაიხსენე გასული წლის კაი-კაი ამბებიო. რა გახსენება უნდა, რა! საქართველოს სოფლის მშრომელებს ჩვენმა დიდმა მექველემ და მშვიდობის მებაირახტრემ ლეონიდ ბრეჟნევმა ახლახან, ახალი წლის წინა დღეებში არ მოგვილოცა დიდი გამარჯვება!

გამარჯვება კი, მართლაც რომ, საამაყოა. რვაასი ათას ტონამდე ყურძენი, ხუთას ოცდახუთი ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, შვიდასი ათას ტონამდე ხილი და ციტრუსი, ოთხასი ათას ტონამდე ბოსტნეული, ას სამოცდაათი ათას ტონაზე მეტი მარცვალი და ამაზე გაცილებით მეტი კარტოფილი... ახლა ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი... რომელი ერთი ჩამოვთვალო! მარტო კახეთის მევენახეთა ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ყურძენი რად ღირს, ანდა ჩვენი, გურჯაანელთა 160 ათასი ტონა! მახარაძელთა 90 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი! აჭარელთა 160 ათასი ტონა ციტრუსი! გორელთა 112 ათასი ტონა ხილი! ჩვენი, ველისციხელთა 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი! ძალიან ბევრი სანაქებო საქმე გაკეთდა ახალი ხუთწლედის პირველ წელს და მარტო მის ჩამოთვლას, მგონი, ერთი გაზეთი არ ეყოფა.

სასიხარულო ბევრი იყო, მაგრამ ერთ მამულიშვილურ ამბავზე რომ არ ვილაპარაკო, ჩვენს ხალხს რომ არ შევახსენო, არ შემიძლია!

ახალ წლამდე იმდენი გაკეთდა ამ ჩვენს დალოცვილ საქართველოში, ერთ საშუალო სახელმწიფოს ეყოფა საქვეყნოდ. ჩვენი ველისციხის გადასწვრივ, გომბორის მთებში, ნასოფლარზე, ახალი ჭერემი რომ აღორძინდა, განა არ უნდა გავიხსენოთ? იქ გასულ წელს სამოცზე მეტმა მეკომურმა იზეიმა ახალმოსახლეობა, სექტემბერში ახალი სკოლა გაიხსნა და პირველი ზარიც დაირეკა. ჭერემის ახალმოსახლენი თანდათან ძალ-ღონეს იკრებენ, სოფელი ლამაზდება ახალი ქუჩებითა და სახლებით, რომლებიც სახელმწიფომ აუშენა მთებში დაბრუნებულებს. ველისციხიდან,

ერთი ჰმირი მეჯვრის

საახალწლოდ თქმული

იმაზე, რაც შარშან

სოფლად კარგი გაკეთდა

ჩვენი თანასოფლელების სახელით ვულოცავ ჭერემელებს ახალ წელს და კერიის გაძლიერებას, შვილების გამრავლებას და დიდ სიკეთეს ვუსურვებ!

თუშეთის მთებში ბევრი მივიწყებული კერია გათბა. ომალოელთა სახლების ბუხრებიდან კვამლი კავკასიონის დათოვლილ მთათა ბურუსს შეერია და გარემო ბუნებას აგრძნობინა, რომ თუშეთში სოფლები აღორძინდა, აქ პირველმა საბჭოთა მეურნეობამაც დაიდო ბინა.

მთას დაუბრუნდა მთიელი... ჯერჯერობით თუ ომალოში აინთო ელექტრონი, მალე სინათლის შუქი მოეფინება დიკლოს, შენაქოსა და მთელი თუშეთის სოფლებს.

ახალ წლამდე ხევსურეთსაც ბევრი ხევსური დაუბრუნდა. არხოტშიც ათობით ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა სახელმწიფოს მიერ აშენებულ კეთილმოწყობილ სახლებში. კერია გაგიძლიერდეთ, ხევსურებო! გაგმარჯვებიყოთ ბუნების ძალებზე! მრავალ ახალ წელს შეესწარით, ბედნიერება და ოჯახის გამრავლება იყოს თქვენი თანამგზავრი, მამულიშვილნო!

მთას უბრუნდება მთიელი, განა ბარი უმეთვალყუროდ დავტოვეთ? საინგილოს გამოლმა, ალაზნის პირას ისეთი ორსართულიანი სახლები აშენდა, თავადებსაც კი შეშურდებოდათ. სამთაწყაროზე მოგახსენებთ. ალაზნის პირას, მილარის მინდვრებზე აჭარლებმა დაიდეს ბინა. განა მარტო გამართული სახლები დაახვედრეს წითელწყაროელებმა? ყოველ ოჯახს ვენახი გაუშენეს და კარ-მიდამო დაუმშვენეს. პირველ მექორწინეებს, შოთა კილაძესა და მზია ფუტკარაძეს ოჯახის შექმნა ჯაფარიძელთა გმირმა თავმჯდომარემ ნიკო ყოჩიაშვილმა მიულოცა და კაი გვარიანადაც უთამადა. ახალდაქორწინებულებს · კალთაში ბიჭი ჩაუგორეს და თან დააყოლეს — ბიჭები მოგიმრავლდეთო. შორიდან მოსულები არიანო, გული დაედებათ, ვაზს გაალაღებენ, ცხვარძროხას მოამრავლებენო, — გუნებაში გაივლეს მექორწილეებმა. მალე სამთაწყაროში ოთხასი სახლი აშენდება, ოთხასი კარმიდამო აღორძინდება. მაშინ მილარში, ალაზნისპირას ახალი სოფელი ტოლს არ დაუდებს საქვეყნოდ სახელგანთქმულ სოფლებს! ახალ წელს ახალ სიხარულს გისურვებთ, ახალმოსახლე სამთაწყაროელებო!

ყველა ყველაა, და უდაბნოში თუ სიცოცხლე დამკვიდრდებოდა, არ მეგონა. უფრო ძალიან კი იმან გამახარა, რომ საუკუნეობით ქარისა და სიცხისაგან გამოფიტულ მიწას წყალი აჰკურეს, უდაბნოში ბეტონის არხში მტკვრის წყლის გავლა სიცოცხლის დამკვიდრებაა, მაშ რა არის! ახალი სოფლის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის პირველ დირექტორს ვახტანგ ხარაშვილს დიდი ჯაფა მოელის, მაგრამ არავინ გაუჭირვებს, მასთან არიან საგარეჯოელი ხელმძღვანელები მედეა მეზვრიშვილის მეთაურობით.

შარშან ხუთი ახალი სოფელი აღორძინდა ქართულ მიწაზე, ამით ხუთჯერ გავიხარეთ და ავმაღლდით. ხუთივეგან იყო ჩვენი რესპუბლიკის ნაცადი ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე და ხუთივე სოფელს გაძლიერება და ქვეყნისთვის სამსახური დაამწყალობა.

ახალ წელსაც დაგვებედოს ახალი სოფლები რაჭაში, მესხეთ-ჯავახეთში, ჩვენს მთასა და ბარში! სიუხვე და ჯანმრთელობა, სულის სიწმინდე დაგვებედოს ყველას! ახლა კი ხალხური ლექსით მინდა დავამთავრო ჩემი საახალწლო გულისნადები და გულისთქმა:

მოვიდა ახალწელიწადი,
ღვინიანობისა,
პურიანობისა,
ნათვლისა და ქორწინებისა!
შეგეწიოთყე,
მრავალ ახალწელიწადს
მოესწარით!

მიხეილ მექვევრიშვილი,

გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის მევენახე-ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

სურათზე: პირველი ქორწილი საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში.

ვ. ვენგიურის ფოტო.

დღევანდელი ნომრის სტუმარი



ჰანგი — სიყვარულზე წმინდა

I.

ჩვენ ხომ კერის ანგელოზს მრავალჟამიერით ვლოცავთ ყოველ ახალ წელიწადს. ავუგუნდება ეს დალოცვილი ჭერქვეშ, ჩაიწნება, ჩაიხლართება ყოველ კუთხე-კუნჭულში და ხვალის იმედს ჩაგვისახავს, ახალ ოცნებებს აფერადებს...

მოდით, ამჯერად ჰამლეტ გონაშვილმა დაგვილოცოს ახლად ფეხადგმული წელიწადი. კახური მრავალჟამიერით დაგვილოცოს. ოღონდ ჯერ ახლოს გავიცნოთ ჩვენი სახალხო მომღერალი, მის დიდ ხელოვნებაზე ვისაუბროთ.

II.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ხალხური მუსიკის დიდმა მოამაგემ, ვოკალურ ანსამბლ „რუსთავის“ მხატვრულმა ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგია მისახსოვრა, მშვენიერ ყუთში მოთავსებულ ხუთ ფირფიტაზე სამოცი სიმღერაა — ჩვენი განძი და სიამაყე, საუკუნეებგამოვლილი და დღემდე სუფთა სინათლედ მოღწეული სამოცი მარგალიტი. რა ჰანგები არ გაჟღერებულა აქ. ტკივილი და სევდა, სიმხნევე და ვაჟკაცობა, ტრფიალი და სიკისკასე ერთად შეკრულა, მთლად საქართველო შეკონილა ნაირფერყვავილიანი თაიგულივით. მეგრულ „ოდოიას“ ქართლური „წინწყარო“ მოსდევს, სვანურ „ლილეს“ ლეჩხუმური „მაყრული“ ენაცვლება, იმერულ „მგზავრულს“ გურული „ხასანბეგურა“ აფერადებს... და როგორ მღერიან ანზორ ერქომაიშვილი და ბადრი თოიძე, ტარიელ ონაშვილი და ჯუმბერ ყოლბაია, სალივერ ვადაჭკორია, ლადო წივწივაძე, რამინ მიქაბერიძე, ირაკლი მათიკაშვილი, ნუგზარ გელაშვილი... ერთი შვეიცარიული გაზეთისა არ იყოს, მათი „სიმღერები იბადებიან ჩუმად, ამოსუნთქვასთან ერთად და თანდათან აღწევენ მქუხარებას. ეს სიმღერები უნიკალურია, შემსრულებელთა ხმები და ჟღერადობა — განუმეორებელი“.

და მაინც, ამათ შორის სულ სხვაა ჰამლეტ გონაშვილი, კაცი — თითქოს გარდასულ საუკუნეთა, სალოცავ წინაპართა ალოცვალი, წუთით რომ მოუცილებია მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და გადარჩენილ ციხე-ტაძრებს უგალობენ, მათ სადიდებელს აღავლენენ.

საქართველოში კარგი ხმა და სიმღერა ვის გაჰკვირვებია? ჰამლეტ გონაშვილისა — უკვირთ. საიდან მოდის ეს ჰანგი, რა ბადებს ამ უბადლო ტემბრს, მის სისპეტაკესა და ოდნავ ნაღვლიან შეფერილობას?

იქნებ, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი დაგვეხმაროს?

— ჰამლეტ გონაშვილი ქართულ ხალხურ სასიმღერო ხელოვნებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ადრე თუ გვყავდნენ გამოჩენილი კოლორიტული მომღერლები სანდრო კავსაძე, დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი), მიხა ჯილაური, მარო თარხნიშვილი და სხვები, რომლებიც დიდებულად ასრულებდნენ ქართლ-კახურ სიმღერებს, დღეს ჩვენ გვყავს ჰამლეტ გონაშვილი. უფრო მეტსაც ვიტყოდი: მისი თბილი, ფერადოვანი, ყველასაგან გამორჩეული ხმის ტემბრი შეიძლება საუკუნეების განმავლობაშიც არ განმეორდეს. დიახ, ჰამლეტ გონაშვილი „წინწყაროს“, „ოროველას“, „ურმულის“, „დაიგვიანეს“ და სხვა ბევრი ხალხური სიმღერის სწორუპოვარი შემსრულებელია.

მისი სიმღერა მარტო ყელიდან არ ამოდის. თითოეულ ფრაზას გულის სიღრმეში ხარშავს, აფერადებს, ალამაზებს. მის სიმღერაში ერის სული ჩანს, ერის ისტორია. ამიტომაა ჰამლეტის სიმღერა ყველასათვის საყვარელი და გასაგები.

მერამდენედ ვუსმენთ მის სიმღერას და ისე განვიცდით, თითქოს პირველად ვისმენდეთ. ჰამლეტის ხმის სილამაზე, მარტო ობერტონებით არ განისაზღვრება, მას ფერადოვნება ახასიათებს, ფერთა ჰარმონია კი ობერტონებთან ერთად შეზავებული, ქმნის იმ საოცარ ტემბრს, რომლითაც ჰამლეტ გონაშვილი ასე გამოირჩევა ყველასაგან.

მახსოვს, ბელგიის გაზეთი წერდა: „გონაშვილის ხმა საოცარი სითბოთი და სილამაზით გამოირჩევა. იგი კი არ მიფრინავს, ზღვის ტალღასავით მიგორავს, რომ შემდეგ ისევ უკან დაუბრუნდეს მომღერალსო“.

აქ შეუძლებელია არ აღვნიშნო ჰამლეტის შესაშური პატრიოტიზმი, სიყვარული მშობელი მიწისა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს იგი სწავლობს ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციას და ცდილობს იქიდან საუკეთესო შეარჩიოს, საქართველოში დანერგოს.

ჩვენთვის იგი არა მარტო სიმღერის, არამედ კაცურკაცობის მისაბაძი მაგალითია.

III.

— ახლა, ზოგი თქვენ გვიამბეთ, ჰამლეტ ბატონო...

— მამა მირზაანელი იყო. მე, დიდულეთში, ანჟგამში დავიბადე და გავიზარდე, დედა მშვენივრად მღეროდა და ჩემი პირველი მასწავლებელიც ის გახლდათ. თავიდან ვიოლინოზე დაკვრამ გამიტაცა, მერე ოჯახი ცხინვალში გადავიდა (იქ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა მამაჩემი — დიმიტრი გონაშვილი) და ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ვსწავლობდი ასე. ერთ დღეს თბილისიდან დეპეშა მომივიდა. ჩამოდით, კონსერვატორიაში გამოცდები ჩააბარეთო. თვალებს არ დავუჯერე, შეცდომა ხომ არაფერია-მეთქი. მაინც ჩავედი თბილისში, ომი ახალი დამთავრებული იყო. მივადექი დილით ადრე მამიდაშვილს, ამბავი რომ მოვუყევი, ბევრი იცინა, თურმე მისი მოწყობილი ყოფილა ყველაფერი, თვითონ შეეტანა ჩემს მაგივრად კონსერვატორიაში განცხადება. უფრო სწორად, ეს იყო კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერთა ათწლედი. მხოლოდ ერთ ტურში გავედი. ჩამრიცხეს ულაპარაკოდ და ისე გამიმართლა, რომ სანდრო ინაშვილის ჯგუფში მოვხვდი. რა ზრუნვა, რა ყურადღება მახსოვს ჩვენი შესანიშნავი მომღერლისა! აქ კი ჩავირიცხე, მაგრამ ძირითად სპეციალობას ხომ არ მივატოვებდი. ამიტომ ცხინვალიდან საბუთები პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიტანე და ვიყავი ასე, გაწამაწიაში. ზედმეტმა დატვირთვამ იმოქმედა თუ რა იყო, ავად გავხდი და სწავლას ჩამოვცილდი... ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი რომ გიამბოთ, შეიძლება არც მკითხველისთვის იყოს საინტერესო და...

— სწავლა აღარ გაგიგრძელებიათ?

— თავიდან ჩავაბარე, ამჯერად — თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე. თუმცა, ბოლომდე ვერც იქ მივედი... ერთ დღეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპეტიციაზე მიმიყვანა ჩემმა მეგობარმა, და კირილე პაჭკორიამ ისე დამიჭირა, აი, როგორც ხედავთ, დღემდე სიმღერას გადავყევი... 1953 წლიდან მოვიარე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული, 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გახლდით მოსკოვში.

დიდი წარმატება ჰქონდა ანსამბლს. მე კი, მახსოვს, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში სამჯერ მამღერეს რუსული ხალხური სიმღერა „მწუხრის ზარები“...

ანსამბლში სიმღერის გარდა, პროგრამის წაყვანაც დამავალეს, ეს კი ნიშნავდა ყველა სიმღერის ანოტაციას ქართულიდან — რუსულად... დატვირთვა დიდი იყო. 1970 წლიდან უკვე ანსამბლ „რუსთავში“ ვარ. ბიჭებთან ერთად, რომ იტყვიან, სიმღერით მოვიარე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, თუმცა ხშირად არ მემღერება... ეს არის და ეს...

— მკითხველმა იცის, რომ თქვენ რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები შეასრულეთ სიმფონიურ და საესტრადო ორკესტრებთან ერთად (კინოფილმი „ჩრდილი გზაზე“, ოპერა „მთვარის მოტაცების“ შესავალი, ი. ბობოხიძის „მზეო თიბათვისა“ და ა. შ.). ხომ არ გქონიათ კამერულ ჟანრში მუშაობის სურვილი?

— სურვილი მართლაც მქონდა, ხალხური სიმღერების შემსრულებელი, როგორც გიამბეთ, შემთხვევით გავხდი...

— ბევრი იგეთი შემთხვევა მოგვცეს განგებამ...

— არ ვიცი... ის კია, რომ რაღაც მინდა შევცვალო... სიამოვნებით მოვამზადებდი, მაგალითად, პროგრამას ძველ თბილისურ მელოდიებზე დუდუკების თანხლებით. ვნახოთ, დრო კი არ იცდის. უკვე გადავაბიჯე ორმოცდაათს...

IV.

ახლა ის უნდა იცოდეთ, როგორ წვრთნის და მოძღვრავს მამა თავის ორ ციცქნა ბიჭს — დიმიტრის და გიორგის. უნდა აქედანვე აზიაროს ქართული ჰანგის სურნელს. აი, გენები მითხარი: უმცროსი — გიორგი ფორტეპიანოს ჯერ კარგადაც ვერ სწვდება, მაინც მონდომებით კენკავს პატარა თითებით და მღერიან მამაშვილნი: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“...

ქართული ლექსის მადლსაც აჩვევს შვილებს მომღერალი.

ლექსმა მომაგონა: ალბათ ცოტაა საქართველოში სხვა ხელოვანი, რომლისთვისაც ამდენი პოეტური სტრიქონი ეძღვნათ. ესეც, უპირველესი ნიშანია ჰამლეტ გონაშვილის ზედმიწევნით ეროვნულობისა.

„გული, ო, გული როგორ მოითმენს ვიდრე ეგ თითბრის ზარი წკრიალებს, შენი ხმა ესმით, მოდგნენ, მოვიდნენ, მოვიდნენ, მაგრამ დაიგვიანეს“.

(ჯანსუღ ჩარკვიანი).

„დამდეგს შუაღამის ბაღში ურვა-ოროველა ერის, როცა თმაჭაღარა ბავშვი — ჰამლეტ გონაშვილი მღერის. აღარც ჩამოჩუმი მესმის ბნელში შეუყუჩებულ წყვილთა, საყდრულ სიჩუმეში კვნესის, ჰანგი — სიყვარულზე წმინდა“.

(ოთარ ჭელიძე).

„შენ რომ გალობ, ჰამლეტ ჩემო, მიბრუნდება სიყმაწვილემზე ჩამოგაქვს ჰანგით ციდან, ღვთის სინათლეს გვინაწილებ“

(მორის ფოცხიშვილი).

V.

რა თქმა უნდა, ეს სრული პორტრეტი არ არის ჩვენი სახალხო მომღერლისა. უბრალოდ, სტუმარი გაგაცანით, ფიქრები გაგანდეთ მამულის სიყვარულით გულსავსე კაცისა. ახლა კი მრავალჟამიერი ვთხოვოთ.

და აი, აზარფეშას იღებს გონაშვილი, დედასაქართველოს სადიდებელს ამბობს. შემდეგ კი „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, არც რა გაუხარია“... ქრუანტელად უვლის თბილისური ზამთრის შეჭირხლულ დილას.

ვ. მარდალეიშვილი.

□ □

სურათზე: ანსამბლ „რუსთავის“ ვოკალური ჯგუფი. წინა პლანზე — ჰ. გონაშვილი.

კარლო კალაძე

საახალწლო სიტყვა

წიგნიდან „ჩრდილოეთი და სამხრეთი“

ახალმა წელმა სხვა რა მანატროს,
ხადაა, მართლაც, სხვა საქართველო!
რა დროს გაალე სარკმელი, რა დროს —
დღეო გულდაგულ ფიქრთ-გასართველო!

გაახელ თვალს და შენს თვალწინ არის
ყველა ვინც გიყვარს, ვისაც ენდობი:
ხვლა — ვარსკვლავებით სავსე მდინარის,
და ვარსკვლავებით სავსე ფერდობი...

აქ წლიდან წლამდე, როგორც იტყვიან
გზა უკვე ყველას გვაქვს მიკვალული,
სახელი ვისაც კი გაგვითქვია —
გარჯით, მკლავგაშლით და სიყვარულით.

დე, საახალწლო ნაპერწკლებს ჰყრიდეს,
დილა ახარის ათასს ათასმა!
და მეც ამ ახალ წლის გადამკიდეს
არ შემეტყობა ალბათ ხანდაზმა...

უნდა ავწიოთ მაღლა თვით ზეცა,
ღრუბლებზე მაღლა უნდა ავწიოთ,
გადათოვლილი ზეგანი მზესაც
ვერ უპოვნია უკავკასიოთ!

დიახაც, ქება-დიდება კავკასს,
ჩრდილოეთსა და სამხრეთს — დიდება!
ხიმღერა მთა-მთა, ხიმღერას აჰყავს,
მთა-მთა წლის პირველ დღეს ელვიძება.

და ხევი სადაც ხევს ჩართულია
არი გუგუნი, არი კარები.
„კარის ჩაკეტვა“ რა ქართულია —
ღიაა ყველა დარიალები!

როცა შეტევა ელმავთულების
რკინის ნაბიჯით ქედს გადავიდა —
ჩვენი ხალისის, ჩვენი ბუნების
გადანათება იწყებს თავიდან.

გაქვავებულა ხიმტკიცე ძველი,
მაგრამ სიახლეშ სახწაულს ხძლია.
და გამარჯვებაც იქაა ჩვენი,
სადაც ელვას და ცეცხლს შეუხწრია!

ჩვენ, ამირანი და ძმანი მისნი
საიერიშოდ ვიწვევთ მამაცებს,
დე, ახდიოდეს კვამლი და ნისლი
ქედს, თუ მიწისძვრა შეაბარბაცებს.

აქ ყოფნა მართლაც სახახელოა,
აქ შეიკრიბა სპა მებრძოლ გმირთა.
ჩემს თვალწინ მთელი საქართველოა
და საახალწლოდ მივმართო მინდა:

სამხრეთს ზღვის ღელვა ახლაც აწყდება,
ჩრდილოეთს გაშლილ ველთა სილაღე.
შენი იმედიც არ დამარცხდება
გულო, ამ დღისთვის შემოინახე!

და თერგი რაა, თერგი მგრგვინავი,
თერგდალეულთა წყურვილი დიდი.
აკეთებს ვეფხვის ნახტომს გვირაბი —
აღარც კლდე-კარი და აღარც ხიდი,

არც ქამანდივით ნასროლი მაღლა
ბილიკი შიშველ ფეხით ნათელი...
ჩრდილოეთი და სამხრეთი ახლა
ერთი ზეცაა, ერთი ნათელი!

გულო, გრძნობ, შენი გმირი ვინ არის,
ვინ გაამართლა იმედი ძველთა,
აიმართება აქ იმ ტიტანის
თუჯის მარჯვენა იმედად ჩვენდა!

ახალმა წელმა სხვა რა გვანატროს,
ხადაა მართლაც სხვა საქართველო...
რა დროს გაალე სარკმელი, რა დროს —
დღეო, გულდაგულ ფიქრთგასართველო!

მამულის ფერები

გურამ ქუთათელაძის გამოფენის გამო

ერთი თვის წინათ თბილისის სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა გურამ ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ამ გამოფენას დიდი ხანია ველოდით და მაინც ბევრისთვის იგი აღმოჩენა იყო. გურამ ქუთათელაძეს იცნობდნენ როგორც საუცხოო ფერმწერს, უკომპრომისო და გულწრფელ პიროვნებას. სჯეროდათ მისი შემოქმედებითი პოტენციის, მაგრამ გამოფენამ განსაკუთრებული სიმძაფრით დაგვანახვა ამ მხატვრის შემოქმედებითი მასშტაბი, გვაგრძნობინა მისი დახვეწილი ბუნება.

ხელოვნების სამყარო გურამ ქუთათელაძისთვის ბავშვობიდანვე მიმზიდველი და იდუმალებით მოცული იყო. თავიდანვე ბევრს ხატავდა ლაღად, თავისუფლად. ბავშვთა ნახატების მსოფლიო გამოფენაზე პარიზში მისმა ნახატმა ჯილდოც დაიმსახურა. მამა — გამოჩენილი ქართველი მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე, წლების მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, ხელს უწყობდა ვაჟს მხატვრული მისწრაფებების გამოვლენაში. ასე აიდგა ფეხი ახალგაზრდა მხატვარმა, რომელსაც შემდგომ ქუთათელაძეების დიდი ოჯახის ტრადიციების გაგრძელება მოუხდა. თბილისის სამხატვრო აკადემია მხატვრის პირველი სამხატვრო სასწავლებელი იყო, შემდგომ მან სწავლა მოსკოვში, სურიკოვის ინსტიტუტში განაგრძო. რა თქმა უნდა, ისეთ ფერმწერებთან სიახლოვეს, როგორებიც იყვნენ ა. ოსმიორკინი, ს. გერასიმოვი, უკვალოდ არ ჩაუვლია. აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი ესთეტიკა, მისი, როგორც მხატვრის, პიროვნება.

ასპარეზზე გ. ქუთათელაძე 50-იან წლებში გამოვიდა. ორმოცდაათიანელთა თაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებ ა შ ი. რეალიზმის არსის ღრმა გაგებამ საშუალება მისცა ახალგაზრდა მხატვრებს გაემდიდრებინათ სახვითი საშუალებები და თავისი ძიება წარემართათ მხატვრული ფორმის დახვეწის, ფერის გამდიდრების გზით.

გურამ ქუთათელაძის შემოქმედების ძირითადი თემა პეიზაჟია. ბუნება, საკუთრივ საქართველოს ბუნებაა მხატვრისთვის შთაგონების წყარო, რომლის მეოხებითაც მან მიაღწია ფერწერაში საკუთარი მსოფლშეგრძნების გადმოცემის სისრულეს. ყოველ ტილოში ჩანს პოეტურად განწყობილი მხატვრის დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი. იგი მძაფრად განიცდიდა ნებისმიერ ცვლილებას ბუნებაში და ცდილობდა წარმოეჩინა მისი ფარული სილამაზე.

მხატვარი წერდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათის პეიზაჟებს, მაგრამ გამორჩეულ თემად მისთვის მაინც ქართლის შემოდგომის სურათები რჩებოდა. ეს სურათები არა მარტო მძაფრად, მეტყველად გადმოგვცემს ბუნების სილამაზეს, ეს ოქროსფრად ანთებული ალვის ჭალების, ქართლის მთა-ველის ცოცხალი ხატია!

„შემოდგომის“ სერიის სურათები დაწერილია მკვრივად. ფერი, მისი სიწმინდე და გაჯერებულობა განსაზღვრავს ტილოების ფერწერულ გამომსახველობას. მხატვარი ძერწავს ფორმას ნარინჯისფერი, წითელი და ოქროს ფერებით, რომელთა მძლავრი აკორდებით იკვეთება სურათის ემოციური მხარე.

გამოფენაზე წარმოდგენილი „გვიანი შემოდგომის“ სურათები უმეტესწილად. მოვერცხლისფერო, ცისფერ ტონალობაში არის გადაწყვეტილი. ამ სერიის ტილოები სადაა და დახვეწილი. ბუნების ეს თითქოს სრულიად ჩვეულებრივი სურათები განსაკუთრებულ ხიბლს იძენს ტილოზე, რადგანაც მათში ჩაქსოვილია მხატვრის დიდი გრძნობა და სილამაზის ღრმა წვდომა. ამ სურათების ერთიანობა მუსიკალური თემის ვარიაციების მთლიანობას ჰგავს. თითქმის ყველა სურათში ერთი და იგივე მოტივი მეორდება: ასახულია გვიანი შემოდგომა, გაფიჩხული ტოტები ჰაერის სილურჯეს მოუცავს, ალვის ფოთლების ოქროსფერი გაელვება მსუბუქ იისფერთან კეთილშობილებას ანიჭებს სურათის კოლორიტს. მათი მხატვრული ღირსება ცივი და თბილი ტონების ზუსტად მოძებნილ შეფარდებაში ვლინდება. გ. ქუთათელაძის მოწაფეებს ხშირად სმენიათ მისგან (რაც ხშირად ღიმილსაც კი იწვევდა), თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცივი და თბილი ტონების ურთიერთშეხამებას. ეს ფერწერის თითქოსდა ელემენტარული ანბანი ამავე დროს ურთულესი გზაა ფერწერაში, რომელიც ცოდნის გარდა უზადო ინტუიციას და დიდ გამოცდილებას მოითხოვს.

ნამუშევრების დიდ ნაწილს მხატვარი პლენერზე იწყებდა, შემდეგ კი ხანგრძლივად ამუშავებდა სახელოსნოში. ეს გვიხსნის გ. ქუთათელაძის შემოქმედების კიდევ ერთ თვისებრივ ნიშანს, რომელიც დაკავშირებულია სურათზე მუშაობის მისეულ წესთან. მხატვრის მარად მაძიებელი ბუნება ითხოვდა წარსული წლების ნამუშევრებთან არაერთგზის მიბრუნებას. ეს დადასტურებაა შეუნელებელი შემოქმედებითი ძიების, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობის, რომელიც გამორიცხავს ერთხელ მოპოვებული მხატვრული ეფექტით დაკმაყოფილებას. ეს თვისება განსაზღვრავს ხშირად ფერწერული ტილოს მრავალფენიანობას, რაც განსაკუთრებული სიცოცხლის ფეთქვის შეგრძნებას იწვევს. ამგვარი „დამუშავებით“ მხატვარი ამდიდრებს ფერს, აძლიერებს კოლორიტის ჟღერადობას. ზედა ფენების შეთანხმებით ალაგ-ალაგ დაუფარავად დატოვებულ პირველადს ლაქებთან საბოლოო სისრულეს იძენს, იძერწება თვალხილული სინამდვილის მხატვრული, პლასტიური ფორმა.

შემოდგომის შედარებით კამერული ხასიათის ტილოებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი კომპოზიციებიც — „ქართლი“, „ძველი თბილისი“, „ახალი თბილისი“. ამ სურათებში ნათლად იკითხება მხატვრის მისწრაფება მონუმენტური, განზოგადებული ფორმის შექმნისადმი. ამგვარ მთლიანობაზე მინიშნება „ქართლის“ სერიაშიც ჩანს. მხატვრის ბუნებისთვის ახლობელი იყო ქართლის მკაცრი რელიეფი, მთების მონოლითური კომპაქტური ფორმები, თითქოს გადამწვარ მოოქროსფერო-მოყვითალო ფერთა დახვეწილი შეხამება. მხატვარი სიმაღლიდან აფიქსირებს პეიზაჟს (ეს მისთვის სასურველი ხედვის წერტილია). ნიშანდობლივია, რომ ამ სერიის სურათებში ცის მხოლოდ ზოლია დარჩენილი, რაც ამძაფრებს სურათში ვრცელი ხედის შთაბეჭდილებას და მონუმენტურობის შეგრძნებას ბადებს, პლანებს ფერადოვანი ლაქების ინტენსიურობის მონაცვლეობით აწესრიგებს, აშორებს მაყურებლის ხედვიდან და ხსნის შთამბეჭდავ პანორამას ქართლის ლანდშაფტისა. ოქროს, წითლის და ნარინჯისფრის მდიდარი გრადაციებით არის დაწერილი გადამწვარი ბორცვები.

გ. ქუთათელაძე თბილისელი იყო და როგორც თბილისის ყოველ მკვიდრს, მასაც უყვარდა თავისი ქალაქი და აღელვებდა მისი მომავალი სახე. ადევნებდა რა თვალს ძველი ქალაქის მყუდრო უბნებში თანამედროვე ქალაქის შეჭრის გარდაუვალ პროცესს, მხატვარი ქმნიდა კომპოზიციებს ძველი და ახალი ქალაქის თემაზე, რომლებშიც სურათის არქიტექტონიკას თავად ობიექტი განსაზღვრავს. ამ ტილოებში ნათლად იკითხება მხატვრის მისწრაფება კომპოზიციის სიბრტყობრივ-დეკორაციული გადაწყვეტისადმი.

მხატვარს ჰქონდა პერიოდები, როდესაც იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ნატურმორტით. ნატურმორტი მას იზიდავდა საგანთა პლასტიკური გამომსახველობის მიღწევის საშუალებით. მის ნატურმორტებში საგნები განზრახ არის განზოგადებული ფორმით მოცემული, რაც საშუალებას აძლევდა მხატვარს თავისუფლად ემეტყველა წმინდა მხატვრული საშუალებებით. გ. ქუთათელაძე განსაკუთრებული გატაცებით ხატავს ყვავილებს. მისი ყვავილები, თაიგულები გვაოცებს სიფაქიზითა და კოლორიტის დახვეწილობით. მხატვარი ოსტატურად ფლობს მასალას — ზეთის საღებავს, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს მისი შესაძლებლობები (სიმკვრივე, ჟღერადობა, სიღრმე), მაგრამ ამავე დროს ეს არ არის მხატვრის თვითმიზანი. მისი ამოცანაა ფერწერული თუ პლასტიკური საშუალებებით გამოხატოს რეალობის არა მარტო ხილული სახე, არამედ ის დაფარული და მოუხელთებელი, რაც სინამდვილის არსს წარმოადგენს.

გამოფენის დათვალიერებ ი ს დროს სრული შთაბეჭდილებაა მხატვრის თანდასწრებისა, რადგან ყოველ სურათში მისი პიროვნება გამოსჭვივის, ყოველი სურათი მისი „ავტოპორტრეტია“. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია („ფიროსმანის“ სერიის სურათები. ეს ტილოები განსხვავებულია შინაარსით, მხატვრული ფორმით. ჩანს მხატვრის სურვილი განსხვავებული კატეგორიებით აზროვნებისა. ფიროსმანის თემისკენ მიქცევა შემთხვევით არ მომხდარა. ფიროსმანის ხელოვნება ყოველთვის გასაგები და ახლობელი იყო მისთვის, მაგრამ ამ სურათების შესაქმნელად მხატვარს პიკასოს მიერ დახატულმა ფიროსმანის პორტრეტმა უბიძგა. პიკასოს „ფიროსმანა“ გ. ქუთათელაძის პლასტიკურ მსოფლგაგებას მიესადაგა, აალელვა. ამ სახემ შემოქმედებითი ტრანსფორმაცია განიცადა და მხატვრული გამომსახველობით შთამბეჭდავ პორტრეტად იქცა. მასში უნებლიეთ ფიროსმანის სახეს ქუთათელაძისეული ინდივიდუალობის ნიშნებიც შეერწყა. ეს არ არის მხოლოდ ფიროსმანის პორტრეტული დახასიათება. ეს არის სახე სულსპეტაკი, უშუალო შემოქმედისა. დაუმთავრებელი დარჩა ფიროსმანის სერია, განუხორციელებელი დარჩა მრავალი ჩანაფიქრი. რაც უფრო მეტს ვათვალიერებთ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს, მით უფრო გვეუფლება იმის შეგრძნება, რომ ამ მშვენიერ მხატვარს, რომელიც მთელი სისრულით, თავისი ნიჭის მთელი ძალით პირველად წარდგა ჩვენს წინაშე, შეეძლო კიდევ უფრო გაემდიდრებინა ქართული მხატვრობა, რომლის ბოლო ოცი წლის ისტორია, თავისი პრობლემებით და მიღწევებით, ნათლად აისახა მის ნამუშევართა გამოფენაზე. ეს გამოფენა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში და სამუდამოდ აღიბეჭდა ხელოვნების თაყვანისმცემელთა მეხსიერებაში როგორც ფერწერის ჭეშმარიტი ზეიმი.

ს. იოსელიანი.

სურათზე: გ. ქუთათელაძის „ფიროსმანის პორტრეტი“.

მაყვალა ქასრაშვილი:

„სამშობლო მუდამ ჩემთანაა“

ამ დღეებში მსოფლიოს უდიდეს საოპერო სცენაზე — ლონდონის თეატრ კოვენტ-გარდენში გამოდის საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი მაყვალა ქასრაშვილი. იგი მიწვეულია მოცარტის ოპერის „დონ-ჟუანის“ პრემიერაში მონაწილეობისათვის, რომელშიც ქართველი მომღერალი შეასრულებს დონა-ანას პარტიას. ეს თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი მომღერლის ნიჭის დამსახურებული აღიარებაა. მაყვალა ქასრაშვილის ხაშემსრულებლო ოსტატობას იცნობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დიდი წარმატებით გამოვიდა იგი ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების „მეტროპოლიტენ ოპერის“ სცენაზე, სადაც იმღერა ტატიანას პარტია ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“.

1983 წელს კოვენტ-გარდენი დადგამს ორ ოპერას — ვერდის „ტრუბადურსა“ და მოცარტის ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომლებშიც მთავარ პარტიებს ქართველი მსახიობი შეასრულებს.

ახალი წლის წინ საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ლონდონს. ტელეფონში გაისმა მომღერლის ნაცნობი ხმა:

ამ წუთებში მე ფიქრებით ჩემს სამშობლოსთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, ახლობლებთან ვარ. ვულოცავ ჩემს თანამემამულეებს ახალ წელს.

ვინაა თქვა თუთა დალევა!

საახალწლო რეპორტაჟი

უკვე მესამე დღეა თელავის აეროპორტში ამოდ ველით ბუერუნში გახვეული კაკაბაინის გამოჩენას და გულსაკვდინად შეიცქერით შორიახლო ალმაროფულ საკვამფრს. ვიცით, თუ კვამლი ვერტაკალურად და ლაღად აკურდა ცაში, ბედი გაგვიღიმებს, სახვალიოდ ჯანღი გადაიყრება და ნინოატკოცები, ალბათ, სანუგეშოს გვეტყვიან რამეს, თუ არა და...

„მთავო, გადმეშვი მაღალო, რა ნისლი მოგიხვევია“, გულარხეინად ღიღინებს რომელიღაც თუში და მისი მოთმინება გაშორს. ეს კაცი მეშვიდე დღეა ახე ელის გამოდარებას და მაინც დინჯად სცემს ბოლთას.

ხამორიგეოში ეს უკვე მერამდენედ გაისმის ტელეფონის ზარი-ალი.

— ომალოში ფრენას რა პირი უჭირს? — კითხულობს ვიღაც ახმეტიდან.

— რეისი № 133: თელავი-ომალო დღეს არ გაფრინდება. — უპასუხებს მორიგე, რომელიც, ჩვენი აქ იყოს, ბრაზს ვეღარ მალავს. — რამ გადარია ეს ხალხი, რაღა ამ საახალწლოდ აუტყდა ყველას თუშეთში გაფრენა?

12 საათი და 30 წუთია. აეროპორტის უფროსი ვახტანგ არუთიუნოფ გვერდზე ჩაგვიყვანს და უმწეოდ შლის ხელებს, რა ვქნა, რა ჩემი ბრალიაო.

იძულებული ვარ, ყველაფერი გავიხსენო და ზარმოვიდგინო. ბოლოს ხომ ამ ერთი თვის წინათ ვიყავი თუშეთში. ალბათ, ახლაც დაახლოებით ისეთია, თვალებს ვხუჭავ და ერთ წამში ოცნების ფრთები ომალოს, შენავოს, დიკლოს, დართლის, ჩიღოს. ფარჩამს, ალიბგორის თავზე დამფრენს.

ჯადოსნური ძვრები

ბარ ვიცი, თოვს თუ არა ამ ახალი წლის წინა დღეს თბილისში, არ ვიცი, უკანასკნელი მწვანე ფოთოლი კვლავ ჩკიდია თუ არა რედაქციის წინ მდგარ ჭაღარს, თუშეთში კი ისე ხვავრიელად მოსულა, რომ მგზავრი ძლივს მიარღვევს თოვლს. მზეს ჯანღი დაუფარეთია და თოვლზარზე მარგალიტებივით გაუბნეია ათინთვები. სოხეხის, ორეთის, ვეხის, ხიოსსა და ველუთაოს გარინდულ მწვერვალებს ცისფერი ჩაფხუტები დაუხურავთ. ირგვლივ საამო მდუმარეა. მხოლოდ ალაზანი შმაგობს ვიწრობში. აკა-იქ სოფლებში სახლების საკვამურიდან გამკვირვალე, მთიფეონა-მონაკვრისფერი ბოლი ადის, და მის მიღმა, როგორც გაქრესულებული ტელეეკრანზე, ყველაფერი ნახარობს და ირწევა.

აგერ, შენაკოფილი ვაქაკაცი გამოვიდა სახლიდან, მხარზე ძალაკიანი გაუდვეამ და წყაროსაკენ მიიჩქარის. ნეტაც, ვინ უნდა იყოს, რომელი იმედიდ, რომელი კურდღელაოდე, ზეკვაიძე ან იაერიიძეა? ყიხულის ტკივილ ნაიწყო, მერე გამბმარი ტოტები შეაკუნა მილთან და ცეცხლი დაანთო. წამით ჩაიმეზნა, თუთუნს მოუკიდა და, თიოეს ოდოს ოაგაბსენდაო, კვლავ წამოდგა, ერთ დიდ ქვასთან მიაფა.

ნეტაკ, რას აკეთებს?

მაგრამ ამ ქვას ხომ ვკნობ.

ა-ა, გასაგებია. ვაქაკაცმა ფდაკვიი ჩამოწმინდა თოკი ქვას, „ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაბრ მოტყბა ცისა“ — წერია ქვაზე.

ერთი ასეთი ქვა ომავე წარწერით ხომ დიკლოშიც ძევს და ჯადოსნურ, ზოაპრულ ძვრად ქცეულა. ხალხური მოქმედის, ულინაოფოო ხეთისო ბეღადიძის მიერ ერთი საკეკრის წინათ ნთქვამი ეს სტტყვები ყოველთვის მომავლის იმედით ავსებდა აქაურ კაცსა და ბოლ კეთილ სტუმარს ახეიდოდი ზაფხულში თუშეთში, მწყაფსებთან ერთად მთა ჯალაბობასაც ნახავდი, ბუმბერაზ მთათა ფერდობებზე შეფენილ ცხვარს გაამეცდავდი და აუცილებლად ირწმუნებდი, რომ თუშეთს სიკეთილი არ უწერია.

მაგრამ ზაფხულისა და ადრიანი შემოდგომის თბილ დღეებს სუსხი ენაცვალებოდა და ყოჯის გზას თავაკვე დაუყენებოდა მეცხვარე თავანი ჯალაბით. მოდიოდა თუში და გაუკვირვებულ სოფელში ბაული და ცრემლი რჩებოდა. ბერაკი სიხუმე ისადგურებდა ძველ სახლებში და იმ სიხუმეს ათასში ერთხელ თუ დაარღვევდა ხოლმე სოფლის თვალუყურის საგდებად დარჩენილი მცირე კაცის მიერ ნადირის დასაფრთხობად გასროლილი თოფის ხმა.

ლადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩეს დამფუძნებელ კრებაზე. ნოდარმა დანარჩენი ამხანაგები: თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ტელმან იჭირაული, მეურნეობის ბრიგადირი ვარლამ თორეულიძე და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გერმანე სისაური გაგვაცნო. იჭირაული შორაქიდან მოდის, სადაც მეურნეობის ცხვარი იზამთრებს, გერმანე, ვარლამი და ნოდარი კი ამხეტიდან ჩამოსულან ჩვენნაირი იმედით — ეგება, ომალოში გადავფრინდეთო.

— ლამის მთელ ეკსკედიციას მოგიყრიათ აქ თავი, — ეუიიმეს იჭირაული. ტელმანი ხუმრობს, მაგრამ ეს სიმართლეა. ჩემთან და ნოდართან ერთად ახლა აქ ეკსკედიციის სხვა მონაწილენიც—ეურნალისტი ვინ პაპაეშელი და მხატვარი ლეგან დავთაშვილიც არიან. თუშეთის ახალი მეურნეობისათვის „კომუნისტის“ რედაქციისა და ეურნალისტური ეკსპედიციისაგან გამზადებული საჩუქარიც — თუშურ მოტივებზე შექმნილი მშვენიერი ფერნაწერი ტილოც თანა გვაქვს.

გერმანე სისაური საათს დასცქერის.

— თუშეთში ვერ გავფრინდებით, — დაასკვნის იგი. — მაგრამ სწავგვარად დაგეხმარებით. ეხლ საათში ქვეშო ალვანის ფოსტაში ომალო ივნება ბაზზე.

17 საათია. ქვეშო ალვანის ფოსტის რადიისტი ანეტა ნაპაურიძე აპარატს რთავს და სულ მალე პატარა ოთახი რადიოსიგნალების გამბერი „ჭრიჭინთი“ ივსება. რამდენიმე წამიც და ყურმილში გაისმის ხმა, რომლის გაგებასაც ასე ვნატრობდით. „რაგვერი ხარით, მანდ რაგვერით ამინდი? აქ თოვლი, სიცივეა“.

— ჩემ არაფერი გიჭირთ? — ვეკითხებით.

— არაფერი, — გვიპასუხებს ომალოელი რადისტი ლადო ქავთარიშვილი, — თოვლი ვაკე ადგილებში მუხლს ქვემოთ არის. მართალია, ულელტანლნეზე მაღალი ძახვის ელექტრობაზზე რაღაც შეფერხებაა, სამი დღეა ხინთელი გამოირთო, მაგრამ საახალწლოდ შუქი მაინც გვაქვს. მარტა მიკაიძე და ვახტანგ სეხნაიძე კარგად ამუშავებენ თბოელექტროსადგურს. საკვებიც საკმაოდ გვაქვს და პირუტყვიც მშვიდობიანად იზამთრებს.

ყურმილთან მეედა თამარ აგურაშვილი მოდის:

— საგანგაშო არაფერია. ორგვლივ სიმშვიდე და ჯანმრთელობაა, ერთი ესაა მხოლოდ, რომ ალიბგორში შიო ბაშანერიძე გამხდარიყო ავად. ომალოში გადმოვიყვანეთ ეს ნემსების ვუკეთებთ. ახლა თავს კარგად გრძნობს, მაგრამ სოფელში მაინც არ ეუშვებთ, აქ დავტოვეთ, მის ნაცვლად კი ალიბგორში სხვა კაცი გავგზავნეთ პირუტყვის მოსახედად. ჯდილის რაიონის ექიმებისაგან ჩამოტანილი წამლები ჯერჯერობით გყოფნის, მაგრამ როგორც კი ვერტფრინგი გადმოფრინდება, წამლები კიდევ წამოიღეთ, რომ მოელი ზამთარი ფიქრი არა გაქონდეს.

— შიოს გადაეცით, როგორც კი ფრენა იქნება, მისი მეუღლე მარი, მაშინათვე გადმოფრინდება. დაღესტნიდან გადავალო ფეხით, იძახდა, მაგრამ არ გამოუშვეთ. წამლებსაც მალე ჩამოგიტანთ, — უპასუხებს ტელმან იჭიროული.

თამარ აგურაშვილს ყურმილთან ომმალოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ილო ქავთარიშვილი ცვლის.

— ბავშვები თავს ჩინებულად გრძნობენ. გუშინ წასნის მთაზე ერთი დიდი ნაძვი მოვგეერთ და სკოლაში ამოვგიანეთ. მოსწავლეები სათამაშოებს და ნაირგვარ ნიღბებს ამზადებენ. საერთოდ, მთელი სოფელი დიდ საახალწლო სამზადისშია. ყველანაკ ცხვრისა ერთ ხიზანი — კომბოლობა, რაც თეთ მისი ამბლეულს ირსიდან — ამკარა კომბიზიდან გამომდინარეობდა.

— ლაბის მთელ ეკსკედიციას მოგიყრიათ აქ თავი, — ეეიიმეს იჭირაული. ტელმანი ხუმრობს, მაგრამ ეს სიმართლეა. ჩემთან და ნოდართან ერთად ახლა აქ ეკსკედიციის სხვა მონაწილენიც—ეურნალისტი გია პაპაეშელი და მხატვარი ლეგან დავთაშვილიც არიან. თუშეთის ახალი მეურნეობისათვის „კომუნისტის“ რედაქციისა და ეურნალისტური ეკსპედიციისაგან გამზადებული საჩუქარიც — თუშურ მოტივებზე შექმნილი მშვენიერი ფერნაწერი ტილოც თანა გვაქვს.

გერმანე სისაური საათს დასცქერის.

— ეხლ ალვანის ფოსტაზე ომალოელ რადისტ ანეტა ნაპაურიძეს აპარატს რთავს და სულ მალე პატარა ოთახი რადიოსიგნალების გამბერი „ჭრიჭინთი“ ივსება. რამდენიმე წამიც და ყურმილში გაისმის ხმა, რომლის გაგებასაც ასე ვნატრობდით. „რაგვერი ხარით, მანდ რაგვერით ამინდი? აქ თოვლი, სიცივეა“.

— ჩემ არაფერი გიჭირთ? — ვეკითხებით.

— არაფერი, — გვიპასუხებს ომალოელი რადისტი ლადო ქავთარიშვილი, — თოვლი ვაკე ადგილებში მუხლს ქვემოთ არის. მართალია, ულელტანლნეზე მაღალი ძახვის ელექტრობაზზე რაღაც შეფერხებაა, სამი დღეა ხინთელი გამოირთო, მაგრამ საახალწლოდ შუქი მაინც გვაქვს. მარტა მიკაიძე და ვახტანგ სეხნაიძე კარგად ამუშავებენ თბოელექტროსადგურს. საკვებიც საკმაოდ გვაქვს და პირუტყვიც მშვიდობიანად იზამთრებს.

ყურმილთან მეედა თამარ აგურაშვილი მოდის:

— საგანგაშო არაფერია. ორგვლივ სიმშვიდე და ჯანმრთელობაა, ერთი ესაა მხოლოდ, რომ ალიბგორში შიო ბაშანერიძე გამხდარიყო ავად. ომალოში გადმოვიყვანეთ ეს ნემსების ვუკეთებთ. ახლა თავს კარგად გრძნობს, მაგრამ სოფელში მაინც არ ეუშვებთ, აქ დავტოვეთ, მის ნაცვლად კი ალიბგორში სხვა კაცი გავგზავნეთ პირუტყვის მოსახედად. ჯდილის რაიონის ექიმებისაგან ჩამოტანილი წამლები ჯერჯერობით გყოფნის, მაგრამ როგორც კი ვერტფრინგი გადმოფრინდება, წამლები კიდევ წამოიღეთ, რომ მთელი ზამთარი ფიქრი არა გაქონდეს.

— შიოს გადაეცით, როგორც კი ფრენა იქნება, მისი მეუღლე მარი, მაშინათვე გადმოფრინდება. დაღესტნიდან გადავალო ფეხით, იძახდა, მაგრამ არ გამოუშვეთ. წამლებსაც მალე ჩამოგიტანთ, — უპასუხებს ტელმან იჭიროული.

თამარ აგურაშვილს ყურმილთან ომმალოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ილო ქავთარიშვილი ცვლის.

— ბავშვები თავს ჩინებულად გრძნობენ. გუშინ წასნის მთაზე ერთი დიდი ნაძვი მოვგეერთ და სკოლაში ამოვგიანეთ. მოსწავლეები სათამაშოებს და ნაირგვარ ნიღბებს ამზადებენ. საერთოდ, მთელი სოფელი დიდ საახალწლო სამზადისშია. ყველანაკ ცხვრისა ერთ ხიზანი — კომბოლობა, ოაც თეთ მისი ამბლეულს ირსიდან — ამკარა კომბიზიდან გამომდინარეობდა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება, კინოსანუდია „ცათუნო ფილმი“, ბარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვახტანგ დავითის ძე ნინუას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ᲥᲛᲘᲜᲓᲘ შუა ზამთრის სუსხი

იანვარი. ჩვენს ქვეყანაში წლის ყველაზე ცივი თვეა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ამ თვეში ყველგან ძალიან დაბალია, საკრთველოში დეკემბერთან შედარებით იგი 2-3 გრადუსით ნაკლებია.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირდა რაიონებში იაწყვეს 17-23 გრადუსს, ხოლო აბსოლუტურმა მინიმუმმა შეიძლება დაიწიოს კოლეთის დაბლობზე 6-17 გრადუსს ფინეთამდე, ხოლო ქართლსა და კახეთში — 16-32 გრადუს ყინვამდეც.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, 1982 წლის იანვარში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ახლოს ნორმასთან ახლოს იქნება.

თვის ცალკეულ დღეებში მოსალოდნელია ტემპერატურის მომატება რესპუბლიკის დაბლობ-რაიონებში ღამით 5-10 გრადუსამდე, ქართლსა და კახეთში — — 1,+4 გრადუსამდე, დღისით +12,+17 გრადუსამდე, მთიან და მაღალმთიან რაიონებში ღამით— 3,+2, დღისით +4,+9 გრადუსამდე; მაგრამ ზოგჯერ თვის განმავლობაში მოსალოდნელია აცივება და ტემპერატურის დაკლება დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამით — 4,+1, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში —2, დღისით +5,+10 გრადუსამდე; ქართლის ეაკეთა და კახეთში ღამით მოსალოდნელია — 5-10, დღისით +2,+7 გრადუსი. ამ დროს უფრო მეტად ეკეთება მთებზეც. აქ ღამით შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება — 8, — 13, მაღალმთიან რაიონებში ზოგან — 20 გრადუსამდე, დღისით იქნება 0, —5 გრადუსი. ნალექების თვიური ჯამი მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს, ზოგან ნორმაზე ნაკლები.

Ზ. ᲙᲝᲠᲔᲚᲐᲫᲔ,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

რედაქტორი
Ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ ხელოვნების და ხის დამამშვენებელი მრეწველობის სამინისტრო, საბჭოა, ცალკელობა-ქალაღლის და ხის დამამშვენებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაცვალა ხელოვნების ღამაზაურეწილი ინჟინერი, ოსმანი და შრომის ვეტერანი,
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲜᲘᲫᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲘᲡᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲚᲔᲣᲠᲔᲗᲘ

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 1981 წლის საერთაშორისო ფოტოკონკურსში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ფოტოოსტატებმა და მოუვარულებმა. კონკურსში გამარჯვებულთა შორისაა გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტი ხ. კალაძე, რომელსაც მეორე პრემია, მიენიჭა სურათებისათვის — „შეჩაიეები“ და „ᲥᲣᲠᲘ“.

KOMУНИСТИ ИНДЕКС 66434 ᲡᲐ 08008 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲘᲗᲘ ᲤᲝᲡᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ 29.